ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## ეროვნული ფორუმი პროდასავლური პარტიების გაერთიანებას ითხოვს

გვ.4

13 ოქტომბრიდან
ჩემი პირველი სიტყვები
ცხოველები
ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი



ხუთშაბათი, 13 ოქტომბერი, 2016
№243 (7169)
ფასი: 50 თეთრი

# გია ვოლსკი თუ ირაკლი კობახიძე

გვ.2



## ვინ იქნება პარლამენტის სპიკერი



ვოლსკისთან შედარებით, კობახიძე პოლიტიკაში ახალი ხილია. ის ასპარეზზე 2015 წლის დამლევს გამოიყვანეს და პარტიის აღმასრულებელი მდივნობა უბოძეს. მან ამ პოსტზე ზვიად ჯანყარაშვილი ჩაანაცვლა.

## გია ხუხაშვილი: „ნაციონალურ მოძრაობაზე კონტროლი ბოკერიამ დაამყარა“



„დიქტატურის საფრთხე ჯერ არ ჩანს“ გვ.2

„ვითხოვთ ხმების ხელახალ გადათვლას“

## დიმიტრი ლორთქიფანიძე: „ჩვენ 12% ავიღეთ“

გვ.6





გვ.5

## ლევან გოგიჩაიშვილი: „კარგია, რომ პარლამენტში მესამე პარტიაც შევიდა“



მამუკა გამყრელიძე: „ნაციონალებს პარლამენტში ლეღვის ფოთლის ფუნქცია ექნებათ“ გვ.3

## „არჩევნების წაგების მიშაზე გადაბრალება უღირსი სვლა იყო“

ISSN 1987-9385



გვ.5

## კობა ნარჩემაშვილი: „მე პარლამენტის ქუთაისში დარჩენას დავუჭერ მხარს“

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# გია ხუხაშვილი: „ნაციონალურ მოძრაობაზე კონტროლი ბოკერიამ დაამყარა“

შორენა მარსაგიშვილი

დაკარგა თუ არა სააკაშვილმა ნაცმოძრაობაზე კონტროლი, შექნის თუ არა პატრიოტთა ალიანსი პარლამენტში პოლიტიკურ ამინდს, რა საფრთხეები ახლავს თან საკონსტიტუციო უმრავლესობას? – ამ საკითხებზე „ახალ თაობას“ ექსპერტი გია ხუხაშვილი ესაუბრება.

***– ნაციონალური მოძრაობის პოლიტსაბჭომ პარლამენტში შესვლას დაუჭირა მხარი, რასაც კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა მიხეილ სააკაშვილი. არის თუ არა ეს გუნდის დაპირისპირება ლიდერთან?***

– მართალია, ამას შარი-შური და ურთიერთბრალდებები მოჰყვა, მაგრამ სიტუაცია დრამატული არ არის. ამ ეტაპზე ბოკერიას ტაქტიკურმა მონახაზმა გაიმარჯვა, მაგრამ ეს პარტიაში განხეთქილებას არ გამოიწვევს. ორივე მხარეს კარგად ესმის, რომ ეს დაპირისპირება ყველას დაასუსტებს.

ნაციონალურ მოძრაობაში ასეთი პრეცედენტები ადრეც ყოფილა, მაგრამ მათ რაღაც ისეთი აერთიანებს, რომელიც ამ კრიზისსაც გადაალახინებს.

***– სააკაშვილს რა ბედი ელის?***

– მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე პარტიაზე კონტროლი ბოკერიას ხელში გადავიდა, სააკაშვილი მაინც დარჩება მათ დროშაზე. სააკაშვილი, როგორც ნაციონალური მოძრაობის ლიდერი, არ დამთავრებულა.

***– ანუ ის კიდევ იტყვის თავის სათქმელს?***

– აუცილებლად იტყვის.

***– პარლამენტში ნაციონალების შესვლაზე რას ფიქრობთ, შეძლებენ ისინი იქ რამის გაკეთებას?***



## „დიქტატურის საფრთხე ჯერ არ ჩანს“

– არჩევნების შემდეგ ძალიან არასახარბიელო სურათი მივიღეთ – დემოკრატიული პროცესის გარანტი ნაციონალური მოძრაობაა. ეს არის ის სამწუხარო რეალობა, რომელშიც „ქართულმა ოცნებამ“ აგრესიული და ეგოისტური საარჩევნო კამპანიის შემდეგ შეგვიყვანა.

ნაციონალურ მოძრაობას აქვს ოთხწლიანი გეგმა და ამ ოთხი წლის მანძილზე ისინი ძალიან აქტიურები იქნებიან. პრობლემები ქვეყანაში იქნება ძალიან ბევრი. ნათელი მომავალი, აგუგუნებული საქართველო, საყოველთაო სიყვარული, რასაც „ქართული ოცნება“ ეპიზოდურად, მაგრამ მაინც ჰპირდებოდა ხალხს, ასე იოლად არ მოვა. რეალური ცხოვრება ბევრად მუქ ფერებში იქნება წარმოდგენილი, რაც გარკვეულ რისკებს გამოიწვევს. ნაციონალური მოძრაობა შეეცდება, რომ ამ ტალღაზე პოლიტიკურ კლინჩში შევიდეს ხელისუფლებასთან.

ეს ოთხი წელი პერმანენტული კრიზისების პერიოდი იქნება. ყოფილ ხელისუფლებას ჭიქაში ქარიშხლის ატეხვაც კი შეუძლია, რეალური საფუძველი რომ ექნებათ, მაშინ ნამდვილ ქარიშხალს დაატრიალებენ.

***– ქარიშხლის დატრიალება კარგად ეხერხებათ, მაგრამ პოლიტიკური ამინდის შექმნას თუ შეძლებენ?***

– ის გუნდი საკონსტიტუციო უმრავლესობის საპირწონე ვერ გახდება, მაგრამ პოლიტიკურ დღის წესრიგს დიდწილად განსაზღვრავს.

***– პარლამენტში პატრიოტთა ალიანსიც შევიდა. ისინი თუ შეძლებენ პოლიტიკური დღის წესრიგის განსაზღვრას?***

– ამ ბატალიებში მათ წამყვანი როლი ვერ ექნებათ, რადგან პარლამენტში ძალიან მწირად, 6 კაცით არიან წარმოდგენილები. მათი მთავარი ამოცანა საარჩევნო სეგმენტის გაფართოება იქნება. პარლამენტის ტრიბუნას ამისთვის გამოიყენებენ. საკვანძო საკითხებში „ქართულ ოცნებას“ უპარტნიორებენ.

დაპირისპირება იქნება ისევ ორპოლუსიანი, თუმცა „ქართულ ოცნებას“ მთავარი არგუმენტი აღარ ექნება. ისინი ვეღარ ისაუბრებენ სისხლიან ცხრა წელზე.

***– დარწმუნებული ხართ, რომ არ ახსენებენ?***

– მათი მხრიდან ამაზე ლაპარაკი ფარსად იქცა და აღარ იქნება დამაჯერებელი.

***– „ქართული ოცნება“ ახალ პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობით იქნება წარმოდგენილი. არის თუ არა ეს სახიფათო ამ გუნდისთვის?***

– რა თქმა უნდა, სახიფათოა. აბსოლუტური ძალაუფლება აბსოლუტურ პასუხისმგებლობასაც ნიშნავს. ისინი პასუხისმგებლობას სხვაზე ვეღარ გადაიტანენ და ვერც ნაციონალებისკენ გაიშვერენ ხელს. მათ ეს ინსტრუმენტები აღარ ექნებათ. შესაბამისად, უკმაყოფილო საზოგადოების აგრესია მთლიანად „ქართული ოცნებისკენ“ იქნება მიმართული. რაც ამ გუნდისთვის პატარა პრობლემა ნამდვილად არ იქნება.

***– საკონსტიტუციო უმრავლესობა ოფიციალურად ჯერ გაფორმებული არ აქვთ და უკვე დააანონსეს, რომ პრეზიდენტის არჩევის წესს შეცვლიან. ბევრმა ეს გიორგი მარგველაშვილზე შურისძიებად შეაფასა. ზოგი თვლის, რომ მოსახლეობას პრეზიდენტის არჩევის უფლებას ართმევენ. თქვენ რას ფიქრობთ?***

– ამის მოლოდინი არსებობდა და აქ რაიმე განსაკუთრებული სიახლე არ არის. ამ თემას აქვს ორი განზომილება. ერთია თავად ინსტიტუტთან დაკავშირებული განზომილება, არჩევითობის საკითხი და მეორე, პერსონალურად გიორგი მარგველაშვილის ქეისი. იმედია, ამ მეორე ქეისზე ისინი უგუნურ ნაბიჯებს არ გადადგამენ.

***– თავად პრეზიდენტის არჩევის წესზე რას ფიქრობთ?***

– ეს დისკუსიის საგანია.

***– ამ დისკუსიის დროს თუ იქნება ხალხის აზრი გათვალისწინებული? პარტიის აღმასრულებელმა მდივანმა ირაკლი კობახიძემ განაცხადა, საზოგადოებასთან კონსენსუსის გარეშე არც ერთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას არ მივიღებთო. ამის გჯერათ?***

– ირაკლი კობახიძეზე მაღალი აზრის არ ვარ, მაგრამ მისი ეს განცხადება მომეწონა. ეს არის სწორი პოზიცია.

***– რატომ არ მოგწონთ ეს ადამიანი?***

– მეჩვენება, რომ ეს ახალგაზრდა მთლად გაწონასწორებული არ არის. ამაში ვხედავ საფრთხეებს და რისკებს. მეტი არანაირი პრეტენზია არა მაქვს. თუ მის შეფასებაში ვცდები, მოხარული ვიქნები, ღმერთმა ხელი მოუმართოს. მაინც მეჩვენება, რომ მისი ყოფნა სახელმწიფოს მართვაში სახიფათოა.

***– „ქართული ოცნების“ ახალ საპარლამენტო გუნდში რამდენიმე დაჯგუფება არსებობს. ისინი 4 წლის მანძილზე შეძლებენ ერთ გუნდად დარჩენას?***

– ახალი უმრავლესობა ჯერ კიდევ დგას ბიძინა ივანიშვილის მხრებზე. სანამ ეს შენარჩუნდება, მანამდე იქ ფრაქციებად დაყოფის პერსპექტივა არ არსებობს. თუ ბიძინა ივანიშვილმა გადაწყვიტა მათი ჩამოფერთხვა, ან თავად გადაწყვიტეს მისი მხრებიდან ჩამოსვლა, მაშინ მოხდება დაშლა. უახლოეს პერიოდში ამას ნაკლებად ველოდები.

***– პოლიტიკოსების ნაწილი მიიჩნევს, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობის მიღებით ივანიშვილმა დიქტატურა გაიფორმა. ამაზე რას იტყვით?***

– დღეის მდგომარეობით დიქტატურის კონტურებს ვერ ვხედავ. გამომდინარე იქიდან, რომ აბსოლუტური ძალაუფლება აბსოლუტურად რყვნის ადამიანს, ასეთი რისკი არსებობს. იმედი ვიქონიოთ, რომ ეს ასე არ მოხდება.

***– თუ გაფორმდა დიქტატურა, მაშინ რა იქნება?***

– იმისთვის არსებობს საზოგადოება, რომ მოვლენების ასეთი განვითარება არ დაუშვას.

# გია ვოლსკი თუ ირაკლი კობახიძე

შორენა მარსაგიშვილი

საპარლამენტო არჩევნების მოგების შემდეგ „ქართული ოცნება“ ახალი დილემის წინაშე დადგა. მას პარლამენტის თავმჯდომარის პოსტისთვის სათანადო კადრი ჰყავს შესარჩევი.

ამ საკითხზე საუბარი საოცნებო კულუარებში არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე დაიწყეს. გავრცელებული ინფორმაციით, სწორედ ამ მიზნით შეიყვანეს სიაში თამარ ჩუგოშვილი. ამ ინფორმაციას არავინ უარყოფდა, მაგრამ არც ადასტურებდა.

ცოტა ხნის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ მას იუსტიციის მინისტრის პოსტზე წარადგენენ, იუსტიციის მინისტრი კი საფრანგეთში საქართველოს ელჩად წავა. ეს ინფორმაცია არ დასტურდება, მაგრამ არც უარყოფილია. რამდენიმე დღის წინ თამარ ჩუგოშვილმა თავად განაცხადა, რომ პარლამენტის თავმჯდომარის პოსტის დაკავებას არ აპირებს.

მისი კატეგორიული უარის შემდეგ უკვე სხვა კანდიდატურებზე დაიწყო საუბარი. სპიკერის თანამდებობისთვის გია ვოლსკი და ირაკლი კობახიძე შეურჩევიათ. ერთი მათგანი პარტიის აღმასრულებელი მდივანია, მეორე კი – საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარე.

ვოლსკისთან შედარებით, კობახიძე პოლიტიკაში ახალი ხილია. ის ასპარეზზე 2015 წლის დამლევს გამოიყვანეს და პარტიის აღმასრულებელი მდივნობა უბოძეს. მან ამ პოსტზე ზვიად ჯანყარაშვილი ჩაანაცვლა.



ვინ იქნება პარლამენტის სპიკერი

კობახიძის გამოჩენას თავიდანვე მოჰყვა ალიაქოთი. მიმდინარე წლის დასაწყისში მან განაცხადა, რომ „ოცნების“ სიაში სპორტსმენები და მომღერლები აღარ იქნებოდნენ. ამას დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა. „ოცნების“ ათლეტებმა და კულტურის მუშაკებმა ბიძინა ივანიშვილი ააწიოკეს. აღელვებული პოლიტიკური მრევლი ივანიშვილმა ძლივს დააწყნარა და დაჰპირდა, რომ სიაში მოხვდებოდნენ, ირაკლი კობახიძეს კი ბოდიშის მოხდა მოუწია.

ამის შემდეგ მან რამდენიმე თვით აიღო ტაიმ-აუტი და მისი ხმა აღარ ისმოდა. ნავსი ამ ზაფხულს გატყდა. კობახიძემ ისეთი განცხადებების გაკეთება დაიწყო, ოპონენტებს მისი ხმის გაგონებაზე ისტერიკა ემართებათ.

„ოცნებაში“ თვლიან, რომ ის სპიკერობის ტვირთსაც კარგად შეეჭიდება. მისი გასპიკერების შემთხვევაში ერთი ქართული სიბრძნე – ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი ჯობდეს მამასა, გამართლდება. ირაკლი კობახიძის მამა, გიორგი კობახიძე, 1995-1999 წლების პარლამენტში ვიცე-სპიკერი იყო.

# იან კელი ნაციონალების გადაწყვეტილებას მიესალმება



ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში იან კელი ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გადაწყვეტილებას მეორე ტურში მონაწილეობის შესახებ მიესალმება.

აღნიშნული განცხადება ელჩმა სოციალურ ქსელ ტვიტერის გვერდზე გააკეთა.

– ქვეყნებს სჭირდებათ პოლიტიკური და მედია პლურალიზმი განვითარებისა და პროგრესისათვის. შეერთებული შტატები მზადაა დახმარებისათვის, – აღნიშნავს კელი.

# ჯონ ქირბი: „არჩევნების დღემ წესების დაცვით ჩაიარა“

საქართველოში ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელი ჯონ ქირბი შეფასებას აკეთებს.

განცხადების ტექსტში ნათქვამია, რომ ჩატარებულ არჩევნებში ადამიანის ფუნდამენტური უფლებები დაცული იყო, როგორც ეს ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტების ოფისმა შეაფასა.

– არჩევნების დღემ წესების დაცვით ჩაიარა, თუმცა დასანანია, რომ დღის განმავლობაში დაძაბულობამ იმატა და საარჩევნო უბნებზე რამდენიმე ინციდენტი მოხდა. ჩვენ უკიდურესად ვგმობთ ძალადობისა და დაშინების ამ ერთეულ შემთხვევებს, ისევე, როგორც წინასაარჩევნო პერიოდში მომხდარს, – ნათქვამია განცხადებაში.




გარდა ამისა, სახელმწიფო დეპარტამენტი შესაბამის უწყებებს დაბალანსებული გამოძიებისკენ მოუწოდებს, პოლიტიკურ პარტიებსა და მათ მხარდამჭერებს კი – მშვიდობიანი მეორე ტურის ჩატარებისკენ.

**ნიუსპრესი**

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „არჩევნების წაგების მიშაზე გადაბრალება უღირსი სვლა იყო“

## მამუკა გამყრელიძე: „ნაციონალებს პარლამენტში ლეღვის ფოთლის ფუნქცია ექნებათ“

ნონა ცაბაძე

როდესაც გამოგყავარ მე, შენი ამომრჩეველი, ღამის 3 საათზე, მიბარებ ცესკოსთან და მე დილის 6 საათამდე გარეთ გელოდები და მერე გამოდიხარ და იქ რაღაცას ბოდავ, რომ თურმე ცესკოში არანაირი დარღვევები არ ყოფილა და დარღვევები უბნებზეა და თურმე ჩვენ არა გვაქვს ამის არანაირი მტკიცებულება, დავაი, რა ნაციონალების რეალური ხელმძღვანელი დღეს არის გიგა ბოკერია. ბაქრაძე იქ არის შირმა, არაფრის გამოა, არ ვიცი, რის გამო. მას არავინ არაფერს ეკითხება

ის ლეგიტიმაცია, რაც აქამდე ჰქონდა პოლიტსაბჭოს, დღეს უკვე აღარ აქვს, რადგან მომხრეებში ხმები სერიოზულად გაიყო! და გაცილებით მეტი ხმაა მიშას მხარეს! ბოკერიას გუნდი ამბობს, ჩვენს მხარეს მეტიაო. ჰოდა, მოიწვიონ ყრილობა და იქ გამოჩნდება, ვის მეტი მხარდამჭერი ჰყავს

ნაციონალურ მოძრაობაში სერიოზული დაპირისპირებაა. პარტიამ პარლამენტში შესვლის გადაწყვეტილება მიიღო და ამან საბოლოოდ გააჩინა ბზარი მათ მომხრეებს შორის. სოციალურ ქსელებში არ წყდება სააკაშვილის მომხრეების შეფასებები, რომ მიშას გაცილებით მეტი მხარდამჭერი ჰყავს და ამ გადაწყვეტილებით ბოკერიას გუნდმა სერიოზულად წააგო.

ყოფილი დიპლომატი მამუკა გამყრელიძე კი მიიჩნევს, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ ყრილობა უნდა გამართოს და სწორედ იქ უნდა გადაწყდეს, ბოკერიას ფრთა ნაციონალური მოძრაობის სახელით შევა პარლამენტში თუ დამოუკიდებელ დეპუტატებად.

***— ბატონო მამუკა, საერთაშორისო ორგანიზაციები საქართველოში ჩატარებულ არჩევნებს დემოკრატიულს უწოდებენ, ოპოზიციურ ფლანგზე კი სერიოზული უკმაყოფილებაა. როგორია თქვენი შეფასებები?***

— მე არ მაქვს არანაირი საბუთი იმისა, რომ არჩევნები არადემოკრატიულად ჩატარდა. ოპოზიციურმა პარტიებმა ვერ თუ არ მოახერხეს იმ მტკიცებულებების წარმოდგენა, რომ არჩევნები არადემოკრატიული იყო. მთელი ყურადღება გადავიდა მარნეულში და აქეთ ყველაფერი უყურადღებოდ დარჩა.

***— ამით რისი თქმა გინდათ?***

— ნიკა რურუა მიყვებოდა, ისეთი ხალხი მოჰყავდათ არჩევნებზე, რომ საერთოდ უბანში არ გვინახავსო. რატომ არ მოხდა ამის დოკუმენტირება, ვერ გეტყვით. სერიოზული მობილიზება მოხდა „ოცნების“ ამომრჩევლის. მე ვაკეში მივეცი ხმა და ძალიან დიდხანს სერიოზულ რიგში ვიდექი. განსაკუთრებული გაყალბების მე არ მჯერა. დარწმუნებული ვარ, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ წააგო ეს არჩევნები სრულიად რეალურად. ერთადერთი, რაშიც მე ეჭვი მეპარება, ეს გახლავთ თვითონ საარჩევნო სია.

***— სიას რას ერჩით?***

— საარჩევნო სია გაბერილია, მოიმატა რაოდენობამ ხალხის. რის ხარჯზე იბარტყა საქართველოს მოსახლეობამ, ვერ გეტყვით. გარდა ამისა, ძალიან ბევრი იყო შეტყობინება სხვადასხვა ადამიანებისგან, რომ მათ ოჯახებში ჩაწერილია გაურკვეველი პირები. ძველ ბინებში ხუთიექვსი კაცი იყო.

***— ამის ხარჯზე მოხდა გაყალბება?***

— ჩემი აზრით, მოხდა რაოდენობის გაზრდა. კორპუსები იყო გაორებული. არსებობს ტექნოლოგიები, რითიც შეუძლია ხელისუფლებას მეტი ხმა მიიღოს. ძალიან ხშირად მესმოდა, რომ იყო სომხური კარუსელიც. ამ ყველაფრის მიუხედავად, თუ შენ ხარ პარტია, ნაციონალურ მოძრაობაზე ვსაუბრობ, რომელსაც ნახევარი მილიონი ადამიანი აძლევს ხმას, შენ იმის თავიც უნდა გქონდეს, რომ ეს დარღვევები დააფიქსირო.

***— ანუ ვერ შეძლეს ნაციონალებმა დარღვევების დაფიქსირება?***

— ვერა. როდესაც გამოგყავარ მე, შენი ამომრჩეველი, ღამის 3 საათზე, მიბარებ ცესკოსთან და მე დილის 6 საათამდე გარეთ გელოდები და მერე გამოდიხარ და იქ რაღაცას ბოდავ, რომ თურმე ცესკოში არანაირი დარღვევები არ ყოფილა და დარღვევები უბნებზეა და თურმე ჩვენ არა გვაქვს ამის არანაირი მტკიცებულება, დავაი, რა!

***— რეალურად რა მოხდა ცესკოში?***

— არაფერიც არ მოხდა. დიდის ამბით შევიდნენ, ამას ვიზამთ, იმას ვიზამთო და ვერაფერიც ვერ ქნეს! გამოვიდნენ ნირწამხდრები. მე რამდენადაც ვიცი, თამარ ჟვანიას პირდაპირ უთქვამს, ვერაფერსაც ვერ იზამთო! შედიხართ ამხელა ორმეტრიანი კაცები, ჩვენ 6 საათამდე გარეთ გვაყურყუტებ და გამოდიხარ ყურებჩამოყრილი. კარგით, რა!

***— დღეს ყველასთვის აშკარაა, რომ სერიოზული განხეთქილებაა ნაციონალებში. შიდა ომია ბოკერიას და სააკაშვილის მომხრეებს შორის. რას იტყვით თქვენ?***

— ის, რაც დღეს ნაციონალებში ხდება, არის მაჩვენებელი იმისა, რომ ერთიანი აზრი არ არსებობს. პოლიტსაბჭოში აზრი ორად გაიყო. შესაბამისად, შიგნით არის ძალიან სერიოზული, ფუნდამენტალური უთანხმოება. ამიტომ, რადგან პოლიტსაბჭოში ხმები გაიყო, რადგან პარტიის ლიდერს არა აქვს საშუალება აქ ჩამოსვლის და ვერ ახერხებს მართვას სიტუაციის, რადგან პოლიტსაბჭოში კონსენსუსი არ მოიძებნა, ეს იმას ნიშნავს, რომ სერიოზული კრიზისია პარტიაში და პარტიამ უნდა მოიწვიოს ყრილობა!

***— არ უნდა შევიდნენ პარლამენტში?***

— კი ბატონო, შევიდნენ, მე ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ, თუმცა პარლამენტში ვერაფერს გააკეთებენ, ვერანაირ წინააღმდეგობას ვერ გაუწევენ. ბიძინა ივანიშვილს საკონსტიტუციო უმრავლესობა ექნება. პლუს ამას ემატება ინაშვილი. ინაშვილთან ჯდომა კი დიდი ვერაფერი სიამოვნებაა. ინაშვილი აუცილებლად გადავა შეურაცხყოფაზე და იქნება გაუთავებელი კინკლაობა და ეს უმცირესობაში მყოფი რაფინირებული ინტელექტუალები აუცილებლად დაიჩაგრებიან. ამაში ეჭვი არავის შეეპაროს.

***— ანუ თქვენც იმის მომხრე ხართ, რომ არ უნდა შევიდნენ.***

— შევიდნენ და აიღონ ის ტალახი საკუთარ თავზე, რაც მათ იქ ელით. მე ვუთხარი კიდეც ერთ-ერთ დეპუტატობის კანდიდატს, რომ ექნება იარლიყი ლეღვის ფოთლის. აიტანონ, ეს ასეა და ვერაფერს შეცვლიან. ყრილობა უნდა მოიწვიონ და ყრილობამ უნდა გადაწყვიტოს, ეს ადამიანები შევლენ ნაციონალური მოძრაობის სახელით, თუ შევლენ, როგორც დამოუკიდებელი დეპუტატები.



***— ანუ პოლიტსაბჭოს სხდომა არ არის საკმარისი?***

— არა. ეს ძალიან სერიოზული დაპირისპირებაა საკმაოდ სერიოზულ საკითხზე. მომხრეები გაიხლიჩნენ.

***— მიშა საკუთარმა თანაგუნდელებმა გადააგდეს?***

— აქ ამომრჩევლის გაღიზიანება გამოიწვია იმან, რომ მოხდა ყველაფრის მიშაზე გადაბრალება. სწორედ ამიტომაა ხალხში ეს დუღილი. ეს რომ არ ყოფილიყო, საქმე არ მივიდოდა აქამდე. პარტიის რეალური ხელმძღვანელი დღეს არის გიგა ბოკერია. ბაქრაძე იქ არის შირმა, არაფრის გამოა, არ ვიცი, რის გამო. მას არავინ არაფერს ეკითხება.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# პაატა ბურჭულაძე პარტიაში რჩება



პაატა ბურჭულაძე პარტიაში „სახელმწიფო ხალხისთვის“ რჩება. ამის შესახებ მან ჟურნალისტებს თათბირის დაწყებამდე განუცხადა. მისივე თქმით, პარტია ცოტა ხანში ყრილობის ჩატარებასაც გეგმავს.

— მოხდა დიდი რამ — ჩამოყალიბდა ახალგაზრდა, პროფესიონალებით დაკომპლექტებული მომავლის პარტია, რომელიც მომავალ არჩევნებშიც მიიღებს მონაწილეობას.

მე ვარ უბედნიერესი ადამიანი, რომ შევძელი და ახალი, ჯანსაღი ძალა შემოვიყვანე ქართულ პოლიტიკაში, რომელიც არის საქართველოს მომავალი. მე ვრჩები ამ პარტიაში, რეორგანიზაცია მოხდება და ჩვენ ყრილობა გვექნება სულ ცოტა ხანში, — განაცხადა ბ-მა ბურჭულაძემ.

მისი თქმით, დღეს საქართველო არის ღრმა კრიზისში, საიდანაც მისი მოძრაობა გამოიყვანს.

ინტერპრესნიუსი

# ლევან ბერძენიშვილი: „რესპუბლიკური პარტია არც ერთ პოლიტიკურ პარტიაში შესასვლელად არ გაუქმდება“

— ჩემი თანხმობით რესპუბლიკური პარტია არც ერთ პოლიტიკურ პარტიაში შესასვლელად არ გაუქმდება.

ამის შესახებ რესპუბლიკელების ერთ-ერთმა ლიდერმა ლევან ბერძენიშვილმა კახა შარტავას ინიციატივის შეფასებისას განაცხადა.



ბერძენიშვილმა კახა შარტავას ინიციატივას უპერსპექტივო უწოდა.

— ეს შეიძლება ჟღერს როგორც კეთილშობილი იდეა, მაგრამ უპერსპექტივოა. მე პირადად, 1978 წელს დავაარსე მეგობრებთან ერთად რესპუბლიკური პარტია, რომელიც ჩემი თანხმობით არც ერთ პოლიტიკურ პარტიაში შესასვლელად არ გაუქმდება.

ჩემი თანხმობის გარეშე თუ პარტია რამე გადაწყვეტილებას მიიღებს, ამაზე შეგიძლიათ თავმჯდომარეს დაელაპარაკოთ.

მე არ ვიქნებოდი თანახმა გაგვეუქმებინა პარტია ასეთი პოეტური და ძალიან კეთილშობილი განზრახვისთვის, რომელსაც, ჩემი აზრით, არანაირი პრაქტიკული შედეგი არ ექნება, — განაცხადა ბერძენიშვილმა.

ინტერპრესნიუსი

# ნინო ბურჯანაძე: „ქართულმა ოცნებამ“ საკონსტიტუციო უმრავლესობა არ უნდა მიიღოს“



— ჩვენი პარტიის დაშლას გამოვრიცხავ, ჩვენ გულყრები არ გვემართება.

ამის შესახებ ნინო ბურჯანაძე — დემოკრატიული მოძრაობის ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ სხვადასხვა პარტიის რესურსით ნამდვილი, ევროპული ტიპის კლასიკური პარტიის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, ეროვნული ფორუმის ლიდერის, კახა შარტავას ინიციატივის შეფასებისას განაცხადა.

როგორც ბურჯანაძემ აღნიშნა, ინიციატივა პარტიების აბსოლუტური უმრავლესობისთვის არ იქნება მისაღები, მაგრამ თუ საუბარია პარლამენტს გარეთ დარჩენილი ძალების მიერ გარკვეული კონსულტაციების დაწყებაზე, ეს მისაღებია.

— ჩვენი პარტიის პრაქტიკულად 100% აგრძელებს ბრძოლას იმისთვის, რომ დავიბრუნოთ ის ხმები, რომლებიც მოგვპარეს მანიპულირებული არჩევნების დროს. ასე რომ, ჩვენ ძალიან მყარად ვაპირებთ ჩვენი პოლიტიკური საქმიანობის გაგრძელებას, — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

მისი აზრით, იმისთვის, რომ ქვეყანა თურქმენიზაციის გზას არ დაადგეს,

კოორდინირებული მოქმედება და ერთობლივი მოქმედებებიც მისაღები და სწორი იქნება.

მან ასევე განმარტა, რომ ძალიან კარგად იცის, რას ნიშნავს საკონსტიტუციო უმრავლესობა და „მორჩილი, მონური უმრავლესობა“ და აცხადებს, რომ მეორე ტურები გამოყენებული უნდა იყოს იმისთვის, რომ „ქართულმა ოცნებამ“ საკონსტიტუციო უმრავლესობა არ მიიღოს.

— ერთმნიშვნელოვნად მივმართავ საქართველოს მოსახლეობას: მესმის, რომ მოსახლეობის უდიდეს ნაწილს უჭირს. მესმის, რომ ადამიანებს ჯერ კიდევ ეშინიათ, მაგრამ თუ არ მიგაჩნიათ, რომ თქვენი შვილების მომავალი უნდა გაყიდოთ, ასეთ შემთხვევაში, არ მოაწეროთ ხელი იმას, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობა მიიღოს ადამიანმა, რომელსაც ნახევარზე მეტი მედიასაშუალება, სასამართლოები, მთავრობა და პარლამენტი ჯიბეში აქვს.

ახლა, პრეზიდენტის ჯიბეში ჩასმასაც აპირებს და მთლიანად საქართველოს ჩაიდებს ჯიბეში. მე, ჩემს პარტიასთან ერთად, ვაგრძელებ ბრძოლას და ვითხოვთ, რომ შესაბამის უბნებზე მოხდეს ხელახალი გადათვლა, — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

მისივე თქმით, ხმების ხელახალი დათვლის პრეცედენტი უკვე არსებობს, რადგან ბათუმში, სხვა პარტიის მოთხოვნით, გაიხსნა უბანი და ახლა უნდა დაკმაყოფილდეს ნინო ბურჯანაძე-დემოკრატიული მოძრაობის მიერ მოთხოვნილი უბნების გახსნაც.

— თუ არ გეშინიათ, ბატონო ბიძინა, სუს-ის და ხელისუფლების წარმომადგენლებო, გახსენით და გვაჩვენეთ უბნები და დაგვარწმუნეთ იმაში, რომ უამრავი ადამიანის მოსყიდვა შეძელით. ამას ვითხოვთ კატეგორიულად. თუ ეს უბნები არ გაიხსნება, ეს არჩევნები ვერც ერთ შემთხვევაში ლეგიტიმურად ვერ ჩაითვლება, — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

ინტერპრესნიუსი

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ეროვნული ფორუმი პროდასავლური პარტიების გაერთიანებას ითხოვს

შორენა მარსაგიშვილი




არჩევნების შემდგომმა შოკმა გადაიარა და პარტიებმა ნელ-ნელა აზრზე მოსვლა დაიწყეს. გამონაკლისი მხოლოდ თავისუფალი დემოკრატები არიან. პარტიის ლიდერები პოლიტიკიდან წავიდნენ. როგორც ამბობენ, მსგავს გადაწყვეტილებას სხვა პარტიების ლიდერებიც აპირებენ.

წამსვლელთა სიაში ეროვნული ფორუმის ლიდერებიც მოიაზრებოდნენ, თუმცა მოლოდინმა არ გაამართლა. ფორუმელები არათუ წასვლას არ აპირებენ, არამედ გამსხვილებას გეგმავენ. ეს იდეა ერს პარტიის ლიდერმა კახა შარტავამ გააცნო.

ამ გადაწყვეტილებამდე ის საპარლამენტო არჩევნების შედეგებმა მიიყვანა. ის დამწუხრებულია იმის გამო, რომ ქვეყანას მრავალპარტიული პარლამენტი არ ჰყავს. შარტავა დარწმუნებულია, რომ ქვეყანა საფრთხის წინაშე დგას.

ეროვნული ფორუმის ლიდერის განცხადებით, შექმნილ ვითარებაში აუცილებელია რეალური ევროპული, კლასიკური ტიპის პარტიის ჩამოყალიბება და სხვადასხვა პარტიაში გაფანტული რესურსის მოგროვება.

— ასეთი ტიპის სერიოზული პარტიის ჩამოყალიბებისთვის ჩვენ მზად ვართ, ვიყოთ პარტიული მსხვერპლი ამ პროცესისა და შევეწიროთ ამ მნიშვნელოვანი პროცესის დაწყებას სხვებთან ერთად, თუ იქნებიან ამის მსურველები, — განაცხადა შარტავამ.

მთავარი ფორუმელი ამბობს, რომ მას ამ თემაზე რამდენიმე პოლიტიკური პარტიის ლიდერთან ჰქონდა მოლაპარაკება. ფორუმელები მათგან პასუხს უახლოეს მომავალში ელოდებიან.

ევროპული ტიპის და ორიენტაციების პარტიების გაერთიანების აუცილებლობაზე საუბრობენ „ახალ საქართველოშიც“. აღსანიშნავია, რომ მათ ამ თემაზე საუბარი ჯერ კიდევ მაშინ დაიწყეს, სანამ არჩევნები ჩატარდებოდა.

— ჩვენი პარტიის ლიდერმა გიორგი ვაშაძემ ასეთი შეთავაზება ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ გააკეთა. ჩვენი აზრით, გამოსავალი მხოლოდ ასეთი გაერთიანების შექმნაა, — ამბობს „ახალ თაობასთან“ საუბარში პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ლევან ხაბეიშვილი.

მისი განცხადებით, გაერთიანება თუ არ მოხდა, შესაძლოა, ქვეყანამ დიქტატურა და შეცვლილი საგარეო კურსი მიიღოს.

— ქვეყანა სერიოზული საფრთხის წინაშეა. ირაკლი ალასანიას პროდასავლური პარტია დაიშალა, ხოლო ღიად პრორუსული ინაშვილის პარტია პარლამენტში შევიდა. გაურკვეველი ორიენტაციის „ქართული ოცნება“ პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობით შევიდა. ქვეყნის საგარეო კურსი, შესაძლოა, მართლაც შეიცვალოს. ამაზე რუსეთში უკვე დიდი მოლოდინია. რუსი დეპუტატების ნაწილი ხმამაღლა აცხადებს, რომ საქართველოში პრორუსულმა ძალებმა გაიმარჯვეს. ეს ქვეყნისთვის არის დიდი საფრთხე, — ამბობს „ახალი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი.

მისი თქმით, შექმნილ ვითარებაში პროდასავლური ძალები უბრალოდ ვალდებული არიან, საერთო ენა გამონახონ.

— ახლა არც დაპირისპირების და არც ქიშპის დრო არ არის. ჩვენ განსხვავებებზე კი არ უნდა ვიფიქროთ, არამედ გადაკვეთის წერტილები უნდა ვეძებოთ. „ქართულმა ოცნებამ“ ყველაფერი გააკეთა, რომ პოლიტიკურ ველზე კონკურენტად მხოლოდ ნაციონალები დაეტოვებინა. შესაბამისად, მოსახლეობა იძულებული გახდა, არჩევანი ცუდსა და უარესს შორის გაეკეთებინა. მიღებული შედეგი აღარ შეიცვლება. შექმნილი ვითარებიდან ერთადერთი გამოსავალი გაერთიანებაა, — მიიჩნევს ხაბეიშვილი.

მისი თქმით, არჩევნების უარყოფით შედეგებს საქართველოს მოსახლეობა 2 თვეში დაინახავს.

ხაბეიშვილი ამბობს, რომ პროდასავლურმა ძალებმა ყველა კანონიერი გზით უნდა შეუშალონ ხელი ხელისუფლებას უკანონობის დაკანონებაში.

უსამართლობასთან ბრძოლის გარდა, ახალმა გაერთიანებამ მომავალი არჩევნებისთვისაც უნდა დაიწყოს სამზადისი.

— ამ არჩევნებმა ნათლად დაგვანახა, რომ დაქსაქსულობით შედეგს ვერ მივიღებთ. ჩვენ უნდა მოვახერხოთ ერთად დადგომა და ხელისუფლებისთვის კონკურენციის გაწევა. ახალი არჩევნებისთვის სამზადისი ახლავე უნდა დავიწყოთ, — აღნიშნავს „ახალი საქართველოს“ ლიდერი.

დემოკრატიულ მოძრაობას რუსეთის მიმართ გამოჩენილი სიმპათიების გამო ამ გაერთიანებაში არავინ მიიწვევს. იქ შესვლას არც თავად აპირებენ და ეჭვი აქვთ, რომ ასეთი გაერთიანება შედგეს.

— ვერ ვხვდები, რანაირად შეიძლება ერთი პარტიის წევრები იყვნენ ადამიანები, რომლებიც ამბობენ, რომ საქართველო არ უნდა გაწევრიანდეს ნატოში და იმ პარტიის წევრები, რომელიც ამბობენ, რომ არათუ ნატო, არამედ ამერიკული ჯარი უნდა დადგეს საქართველოს ტერიტორიაზე. კოორდინირებული მოქმედება, კონსულტაციები და პარტიების ერთობლივი მოქმედებები ნამდვილად მისაღები და სწორი იქნება ამ ვითარებაში, მაგრამ არა — ერთპარტიული სისტემის აქეთ ჩამოყალიბება, — აცხადებს დემოკრატიული მოძრაობის ლიდერი ნინო ბურჯანაძე.

ბურჯანაძის მოსაზრებას იზიარებს უმრავლესობის დეპუტატი ზაქარია ქუცნაშვილი. ის უფრო მეტ დასაბუთებას ითხოვს და გონივრული ეჭვი აქვს, რომ ამ გაერთიანებაზე საუბრით ოპოზიცია ხავსს ეჭიდება. პროფესიით იურისტი ქუცნაშვილი ოპონენტებს უფასო რჩევასაც აძლევს.

— ეროვნული ფორუმის ინიციატივას, რომელიც მე მხოლოდ მედიით გავიგე, ახსნა და დასაბუთება სჭირდება. როდესაც ჩვენი ოპონენტები საუბრობენ იმის შესახებ, რომ ერთადერთი პროევროპული ძალა არიან, ეს არ არის სწორი. ფაქტობრივად, მოხდა ნაციონალური მოძრაობის, რესპუბლიკური პარტიის, თავისუფალი დემოკრატების არა მხოლოდ დამარცხება, არამედ ქართული საზოგადოება გადაეწყო ახალ პოლიტიკურ ძალაზე, რომელიც არის დასავლური განვითარების მომხრე — ეს არის „ქართული ოცნება“.

შესაბამისად, მათი ვითომ დაბევებული პოლიტიკა, რომ არიან ერთადერთი პროდასავლური ძალა, არის მცდარი. ებღაუჭებიან ქიმერას, რომ თითქოს საქართველოს დასავლური ორიენტაცია არის საფრთხის ქვეშ და ამით ებღაუჭებიან ხავსს და არა ქვას. მე მათ ვურჩევ, მოეჭიდონ ქვას, დაიმაგრონ ამომრჩეველი იმ პროგრესულ შეხედულებებზე, რაც მათ დასაყრდენს შეუქმნის, — ამბობს ინტერპრესნიუსთან საუბარში ქუცნაშვილი.

დეპუტატის თქმით, პროდასავლურობა ამომრჩეველს ვერ მიიზიდავს და ამის ნათელ მაგალითად პარლამენტს მიღმა დარჩენილი რესპუბლიკელები და თავისუფალი დემოკრატები მიაჩნია.

ეროვნული ფორუმი ამ საკითხზე აქტიურ მუშაობას აპირებს. როგორც ამბობენ, რამდენიმე პარტია ამისთვის მზად არის.

# „არჩევნების წაგების მიშაზე გადაბრალება ულირსი სვლა იყო“

დასაწყისი მე-3 გვერდზე



რეალურად ამ პარტიას მართავს გიგა ბოკერია, უცხოელებთან ურთიერთობების მთელი ვალდებულებები იყო გიგა ბოკერიაზე. არც ერთმა უცხოელმა დამკვირვებელმა და არც ერთმა უცხოურმა ორგანიზაციამ არ თქვა, რომ ეს არჩევნები არალეგიტიმურია, ან რაღაცა დარღვევები იყო. ყველა ამბობს, რომ ყველაფერი გადასარევად იყოო.

***— გიგა ბოკერიას რა უნდა ექნა? ძალით ხომ ვერ ათქმევინებდა, თუკი არ ყოფილა?***

— შე კაი დედმამიშვილო, აბა, რისთვის ხარ იქ?! ერთი მომხრე მაინც ვერ იპოვე უცხოურ ორგანიზაციაში, რომელიც იტყოდა, რომ იცით რა ხალხო, მთლად ეგრეც არ არის. ხომ ყველა ხედავდით, რომ მთლად დემოკრატიულადაც არ იყო ყველაფერი.

***— რა არის ბოკერიას ბრალეულობა ამ ყველაფერში?***

— ან მოგიგეს ძალიან სუფთად და ეს უნდა მიიღო, როგორც რეალობა და აღარ უნდა გამოგვიყვანო დილის 6 საათამდე ქუჩაში, ან უნდა გქონდეს მტკიცებულებები და ამავდროულად დაალაგო ურთიერთობები უცხოელ პარტნიორებთან.

ერთი ამერიკელი სენატორი, რომლის სახელსაც ასე აფრიალებდნენ ბოკერია და მისი გუნდი, ჩვენი მხარდამჭერიაო, ის ჩამოვიდა და სწორედ არჩევნების წინა დღეს წავიდა. როგორც ჩანს, მიხვდა, რომ აზრი არ ჰქონდა მის აქ ყოფნას. ეს ყველაფერი კი იმას ნიშნავს, რომ შენ აღარ გაქვს არანაირი მხარდაჭერა უცხოეთში. ხოლო თუ უცხოეთში მხარდაჭერა არა გაქვს, ეს ვისი ბრალია?!

***— ვისი?***

— ვისი და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის, რომელიც ბოკერიას ებარა! იმის ბრალია, ვინც პარტიას მართავს და ყველამ ვიცით, რომ ბოკერია მართავს და მისი გუნდი. ჰოდა, ვინც მართავს, პასუხისმგებლობაც იმან უნდა აიღოს.

***— იმის თქმა გინდათ, რომ მიშაზე გადაბრალება არასწორი სვლა იყო?***

— მიშაზე გადაბრალება იყო ულირსი სვლა! არასწორი კი არა, ულირსი საქციელი! არ შეიძლება გადაბრალება იმ ადამიანზე, რომელსაც მოაქვს შენი ხმების 90%! ყველამ გადასარევად ვიცით, მანდ ვის რა რეიტინგი აქვს! გადახედეთ სოციალურ ქსელებს, მხარდამჭერების 99% მიშას გვერდით დგას, იმიტომ, რომ რეალურად მისი მხარდამჭერია.

***— რამდენად სწორი იყო სააკაშვილის განცხადებები წინასაარჩევნოდ? ბოკერიას გუნდისგან მოდის ბრალდებები, რომ მისმა განცხადებებმა დაუკარგა ამომრჩეველი. ასეა?***

— მიშას განცხადებებში ერთადერთი, რაც არ მომეწონა, ეს იყო — მე ჩამოვალ! ეს არ უნდა ეთქვა. ან ასე უნდა ეთქვა: ხალხო, თუ მოვიგეთ, მაშინ ჩამოვალ. იმიტომ, რომ ყველა დადგა და ელოდებოდა, მიშა მოდისო, აი მიშა სარფშიაო... სადაცაა შემოვაო... კარგით რა, სად შემოვა! აი, აქ შეეშალა და სიყალბე ყოველთვის ვნებს საქმეს!

***— ნაციონალურ მოძრაობაში სერიოზული კრიზისია, პარტია გაყოფილია. რას ელოდებით?***

— პირველ რიგში, რაც უნდა გაკეთდეს, უნდა მოიწვიონ ყრილობა! საჭიროა გადაჯგუფება, ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას! უნდა მოხდეს პოლიტსაბჭოს გადახალისება მომხრეების მიხედვით. მიშას მომხრეებმა უნდა გადაწყვიტონ, რა უნდათ და ამას ყრილობა ყველაზე კარგად აჩვენებს. სწორედ იქ გამოჩნდება, ვის მეტი მომხრე ჰყავს — მიშას თუ გიგას. ყრილობა რომ იტყვის — მე სხვა პოლიტსაბჭო მინდა, აი მაშინ სულ სხვა რეალობა დადგება!

***— პარლამენტში შესვლამდე უნდა ჩატარდეს ყრილობა?***

— ეს ალბათ პარლამენტში შესვლამდე არ მოესწრება. შევიდნენ ბატონო და მერე მათ პარტიიდან გარიცხვას წინ რა უდგას? არც არაფერი! ის ლეგიტიმაცია, რაც აქამდე ჰქონდა პოლიტსაბჭოს, დღეს უკვე აღარ აქვს, რადგან მომხრეებში ხმები სერიოზულად გაიყო! და გაცილებით მეტი ხმაა მიშას მხარეს! ბოკერიას გუნდი ამბობს, ჩვენს მხარეს მეტიაო. ჰოდა, მოიწვიონ ყრილობა და იქ გამოჩნდება, ვის მეტი მხარდამჭერი ჰყავს!

***— იყო ივანიშვილის როლი იმაში, რაც ნაციონალურ მოძრაობაში მოხდა? საუბარი მიდის ბოკერიას გუნდის გადაბირებაზე. რას იტყვით ამაზე?***

— ამის ხმამაღლა გაცხადება არ შეიძლება, სანამ არ გაქვს ამის დამამტკიცებელი საბუთები. თუმცა ნაციონალურ მოძრაობაში მიმდინარე პროცესებში რომ ბიძინა ივანიშვილის როლი ძალიან დიდია, ამას წყალი არ გაუვა. გირჩების გამოყოფას ხომ სწორედ ბიძინას უკავშირებენ. თანხაც სახელდებოდა, რამდენი აიღეს.

ზურაბ ჯაფარიძის ძმა, გია ჯაფარიძე, ჩემი მეგობარია, ძალიან დიდ პატივს ვცემ და აქვე იმასაც გეტყვით, რომ გიგა ბოკერია მან შექმნა, როგორც ფიგურა, როგორც პოლიტიკოსი. ბოკერია ნული იყო. მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ჯაფარიძემ ფული აიღო, თუმცა ამაზე ძალიან ბევრი ჭორი დადის და ეს პროცესებიც ერთმანეთს საეჭვოდ მიეწყო.

# ვიქტორ დოლიძემ, ზურაბ აბაშიძემ, დავით ონოფრიშვილმა, გია ცაგარეიშვილმა და ირაკლი ჩიქოვანმა თავისუფალი დემოკრატები დატოვეს



პარტია თავისუფალი დემოკრატები კიდევ რამდენიმე წევრმა დატოვა. პარტიის ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე ცნობილი გახდა, რომ პარტიიდან ამჯერად ვიქტორ დოლიძე, გია ცაგარეიშვილი, ზურაბ აბაშიძე, ირაკლი ჩიქოვანი და დავით ონოფრიშვილი მიდიან.

შესაბამისი განცხადებები აღნიშნულმა ხუთეულმა თავად გააკეთა.

# უკრაინული პრესა: მიხოს ოცნებები გაქრა

უკრაინული გამოცემა ფოკუსი საქართველოში ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებს პოლიტოლოგ ევგენი მაგდას სტატიით ეხმაურება, რომლის შემოკლებულ ვერსიას საინფორმაციო სააგენტო ნიუსპრესი გთავაზობთ.

სულ რაღაც 10 დღის წინათ საქართველოს ექს-პრეზიდენტი და ოდესის ოლქის გუბერნატორი მიხეილ სააკაშვილი მოუთმენლად ელოდა ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების მომენტს (ალბათ, პრემიერ-მინისტრის რანგში) და უკვე განზრახულიც კი ჰქონდა, რომ ხატია დეკანოიძე შინაგან საქმეთა მინისტრად დაენიშნა, მაგრამ მიხოს ოცნებები გაქრა: პარტიამ, რომელიც იმედი მას ჰქონდა, საქართველოს პარლამენტის არჩევნებში საკმარისი რაოდენობის ხმები ვერ მოაგროვა... მართალია, მიხეილ ნიკოლოზოვიჩის ცოლი სანდრა რულოვსი ალბათ გახდება დეპუტატი, მაგრამ ეს ქმრის სურვილისათვის მანუგეშებელი დიდი ნუგეში არ არის...

მოკლედ, ჯერჯერობით მიხეილ სააკაშვილი უკრაინაში რჩება. გასაგებია, რომ მისთვის, როგორც მსოფლიო მასშტაბის პოლიტიკოსისთვის, ოდესის ოლქი თავისი ეთნოდემოგრაფიული ლანდშაფტით და რთული ეკონომიკური მდგომარეობით, დნესტრისპირეთთან სიახლოვით მოსაწყენი ადგილია, მაგრამ სხვა რა გზაა, უნდა შეეგუოს და ადგილობრივ მოსახლეობას დანაპირები უნდა შეუსრულოს. მით უმეტეს, რომ მიხეილ სააკაშვილს, სხვა გუბერნატორებთან შედარებით, უფრო მეტი ბერკეტი აქვს მართვისათვის.

რაც შეეხება სააკაშვილის პერსპექტივას: მკითხველს შევახსენებთ, რომ მას 2018 წლის ნოემბრამდე უკრაინის პარლამენტში (ვერხოვნა რადაში) დეპუტატად არჩევა არ შეუძლია, ხოლო პრეზიდენტად — 2023 წლამდე. სპეციალურად მიხოსათვის კი ქვეყნის კანონმდებლობის შეცვლა საეჭვო საქმეა.

მისი პოლიტიკური მომავლისათვის საკვანძო მომენტად უნდა მივიჩნიოთ პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოსთან დამოკიდებულება. ერთი მხრივ, სტუდენტობის დროინდელი მეგობრობა ბოლო დრომდე ერთმანეთთან მეტ-ნაკლებად ნეიტრალიტეტს ინარჩუნებდა, მეორე მხრივ კი, თუ მიხეილ სააკაშვილი მეგობრის კრიტიკას გააგრძელებს, მაშინ მისი პოპულარობა მოიმატებს.

თავის დროზე, საქართველოში მიხეილ სააკაშვილი ედუარდ შევარდნაძის პროტეჟედ მოიაზრებოდა, თუმცა შემდეგ იგი „თეთრ მელას“ დაუპირისპირდა. არაა გამორიცხული, რომ მიხეილ ნიკოლოზოვიჩი სამომავლოდ იგივე ტაქტიკას მიმართავს, თანამდებობიდან გადადგომის პროვოცირებას შეეცდება და ამ ნაბიჯს საკუთარი პოპულარობის კატალიზატორად გამოიყენებს.

# კობა ნარჩემაშვილი: „მე პარლამენტის ქუთაისში დარჩენას დავუჭერ მხარს“

ნათია ხურცილავა

ქუთაისის 49-ე საარჩევნო ოლქის მაჟორიტარი კანდიდატი კობა ნარჩემაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში არჩევნების მეორე ტურსა და მის შესაძლებლობებზე საუბრობს.

***– ბატონო კობა, რატომ დასჭირდა „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი კანდიდატების დიდ უმრავლესობას არჩევნების მოსაგებად მეორე ტური?***

– ამას ბევრი მიზეზი აქვს. პირველი, ხელისუფლების გადაწყვეტილება 50%-იან ბარიერთან დაკავშირებით აპრიორი გულისხმობს არჩევნების მეორე ტურს. მეორე მიზეზი გახლავთ ის, რომ ეს იყო პირველი თავისუფალი არჩევნები და ამ ტიპის არჩევნებში ძალები მოსინჯა ბევრმა პარტიამ, ბევრმა კანდიდატმა თავისსავე უბანში, რამაც იმუშავა. ბევრმა ხმა მისცა თავის მეზობელს, ახლობელს, რამაც ლიდერ კანდიდატს ხმები დააკარგვინა.

***– კონკრეტულად თქვენს შემთხვევაში რა იყო მეორე ტურის მიზეზი?***

– ჩემს შემთხვევაში პრეტენზიები მაქვს თავად ჩემს საარჩევნო შტაბთან. გარკვეულ უგულისყურობას, ზოგჯერ არაკომპეტენტურობას, დაუდევრობას ჰქონდა ადგილი. რომ არა ეს მიზეზები, არ გამოვრიცხავ, სხვა შედეგები დამდგარიყო. მაგალითად, საარჩევნო ადმინისტრაციაში ჩემმა წარმომადგენლებმა ვერ მოახერხეს ჩემი ხმების სათანადოდ დაცვა.

***– ეს როგორ?***

– ჩემი 1.100 ბიულეტენი გაუქმებულია. ამან ასახვა ჰპოვა შედეგების დაჯამებისას. იყო სხვა დარღვევებიც, რომლებიც, სამწუხაროდ, მემკვიდრეობით გადმოვიდა წინა საარჩევნო ადმინისტრაციიდან.

***– გამორიცხავთ გარკვეულ განაწყენებას „ქართული ოცნების“ მიმართ?***

– რასაკვირველია, არ გამოვრიცხავ. ადამიანები ვართ და სათანადოდ ვერ ვიმუშავეთ, ვერ მოვახერხეთ მათი თავმოყვარეობის, სოციალური სტატუსის კომპენსირება. შესაბამისი და ადეკვატური სამუშაოების ბოლომდე მიყვანა.

***– წინასაარჩევნო კამპანია, ამერიკის ელჩის შეფასებით, ისეთი იყო, რომ ის ამას ინატრებდა ამერიკაში. თუმცა, არჩევნების დღეს მაინც მოხდა მიუღებელი ფაქტები – საარჩევნო უბნის დარბევა და ა.შ. რატომ?***

– ყველა ფაქტის სათანადო სამართლებრივი შეფასება უნდა მოხდეს. უნდა მოხდეს სრულყოფილი გამოძიება და ყველაფრისთვის სახელის დარქმევა, თუ რა მოხდა რეალურად. მე ერთი რამ შემიძლია გითხრათ, რომ ქართულ პოლიტიკურ სპექტრში არის ისეთი პოლიტიკური ჯგუფები, რომლებიც დაინტერესებულები არიან სწორედ ექსცესებით.



## „პრეტენზიები მაქვს ჩემს საარჩევნო შტაბთან“

***– ვის გულისხმობთ, ნაციონალურ მოძრაობას?***

– დიახ. თუმცა, ჩემი ოპონენტების მიმართ არ მინდა დღეს, წინ მეორე ტურია, ასეთი შეფასებები გავაკეთო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვთვლი, რომ როდესაც ნაციონალური მოძრაობა ამ ფორმით იქნება პოლიტიკურად ნეიტრალიზებული, პოლიტიკურ სივრცეში მსგავსი ექსცესები მინიმუმამდე დავა.

***– რაც შეეხება ქუთაისში თქვენ ოპონენტთან დაპირისპირებას, გიგი წერეთელი ამბობს, რომ დაძაბულობა იყო, რომ „ქართული ოცნებისგან“ აგრესია მოდიოდა. რას უპასუხებთ?***

– ეს ყველაფერი პირიქით იყო. მთელი წინასაარჩევნო კამპანია ჩემი ოპონენტების მიმართ პატივისცემის რეჟიმში წარვმართე. ასე ვაპირებ ახლაც. მეორე ტურის შემდეგ შეიძლება ვთქვა იმ დარღვევებზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა.

***– ბატონო კობა, „ქართულმა ოცნებამ“ უკვე დააანონსა პარლამენტის შენობის ქუთაისიდან გადმოტანა. თქვენი პოზიცია, როგორც ქუთაისის მაჟორიტარის, თუ გაიმარჯვებთ, როგორი იქნება?***

– პარლამენტი მშვენიერ ადგილას არის ქუთაისში. თუ ეს საკითხი დადგება პარლამენტში, მე წინააღმდეგი ვიქნები. ჩემი ოპონენტები სწორედ ამაზე აგებენ თავიანთ წინასაარჩევნო კამპანიას, რომ თითქოს პარლამენტი გადააქვს ხელისუფლებას, მაგრამ მინდა ვუთხრა, რომ მათ ამომრჩეველი შეჰყავთ შეცდომაში.

პრემიერ-მინისტრმა თქვა, რომ ის და უმრავლესობა ხელების გადაგრეხვით არ იმოქმედებენ და თუ ქუთაისის მოსახლეობას არ აქვს სურვილი პარლამენტის გადატანის, პარლამენტი ქუთაისში იქნება.

# ლევან გოგიჩაიშვილი: „კარგია, რომ პარლამენტში მესამე პარტიაც შევიდა“

ნათია ხურცილავა

საბურთალოს მე-6 ოლქის მაჟორიტარი კანდიდატი ლევან გოგიჩაიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ მიესალმება პარლამენტში არა ორი პარტიის შესვლას, არამედ მესამე ძალის არსებობასაც.



***– რა იყო მთავარი გამოწვევა 8 ოქტომბრის არჩევნებზე?***

– არჩევნები დემოკრატიულად, მაღალი სტანდარტების სრული დაცვით ჩატარდა ქვეყანაში და ამას აღიარებენ საერთაშორისო დამკვირვებლები. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რომ არჩევნები ერთხელ და საბოლოოდ კარგად ჩაგვეტარებინა, ეს იყო რეალური გამოწვევა და ეს ტესტი მაღალ დონეზე იქნა ჩაბარებული. ეს შემდეგი 4 წლის განმავლობაში მოგვცემს შესაძლებლობას, რომ უფრო მშვიდობიანად ვიცხოვროთ და ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების მხრიდანაც უფრო დაფასებულები ვიყოთ.

***– როგორია თქვენი მოლოდინი მეორე ტურთან დაკავშირებით?***

– მაქსიმალურად ბევრ ოლქში „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს. მთელი პარტია ახლა მეორე ტურზეა ორიენტირებული. ღირსეულად უნდა გავიდეთ მეორე ტურზე და გავიმარჯვოთ. წინასაარჩევნო კამპანიის ახალი ეტაპი იწყება და ახლა სწორედ აქეთკენ ვართ კონცენტრირებული. ბევრმა კანდიდატმა ჩვენს კანდიდატებს უკვე გამოუცხადა მხარდაჭერა.

***– „ქართული ოცნება“ ნაციონალური მოძრაობის პირისპირ არ რჩება, მესამე პარტიაც შედის პარლამენტში. რამდენად ელოდით ასეთ შედეგებს?***

– ეს მოცემულობა, რომელიც მივიღეთ, არის ამომრჩევლის განწყობა. შესაბამისად, მომავალი 4 წლის განმავლობაში ამომრჩევლის ეს განწყობა შენარჩუნდება. ადამიანები არჩევნებზე მოვიდნენ და თავიანთი არჩევანი დააფიქსირეს. ძალიან მომწონს, რომ მხოლოდ ორი პარტია არ არის პარლამენტში წარმოდგენილი. არ აქვს მნიშვნელობა, თუ ვინ არის, მთავარია, რომ მესამე პარტია არის პარლამენტში და ეს ასახავს ჩვენი ამომრჩევლის განწყობას.

***– ითანამშრომლებთ ნაციონალურ მოძრაობასთან?***

– ამას მოცემულობა გვაჩვენებს. ჩვენ გვაქვს ჩვენი პროგრამა, სამოქმედო გეგმა და ამ ამოცანის რეალიზებისთვის არავისთან ურთიერთობაში პრობლემა არ გვექნება. თუ ისინი გადაწყვეტენ, რომ ჩვენს პროგრამას მხარი დაუჭირონ, მხარი დაუჭირონ იმ ბიუჯეტს, რომელსაც მთავრობა პარლამენტში წარადგენს, ჩვენ ამას მხოლოდ მივესალმებით. ოთხი წელი მოგვიწევს ერთად პარლამენტში ყოფნა და შეიძლება ამ დროის განმავლობაში ბევრი რამე შეიცვალოს კარგისკენ.

***– ნაციონალური მოძრაობის პარლამენტში შესვლას როგორ შეაფასებთ? პარტიის აზრი ორად იყო გაყოფილი. თუმცა, სააკაშვილის საწინააღმდეგო აზრმა გაიმარჯვა.***

– ნაციონალურმა მოძრაობამ თავისთვის სწორი გადაწყვეტილება მიიღო. რადიკალური ფრთა ითხოვდა, არ შესულიყვნენ, მეორე ნაწილი პირიქით, მაგრამ შიგნით როგორ მორიგდებიან, ან გადაჯგუფდებიან, ეს ჩემი საქმე არ არის. ეს მათი გადასაწყვეტი იყო და მათ მიიღეს ეს გადაწყვეტილება. მე ვერ ჩავერევი ამ გადაწყვეტილებაში. ზოგადად პოლიტიკური პროცესისთვის, ჩვენი ქვეყნის დემოკრატიის განვითარებისთვის ეს კარგია. დანარჩენი მათზეა დამოკიდებული.

ისე, გულწრფელად რომ გითხრათ, არ მჯერა, რომ ნაციონალური მოძრაობა ქვეყნის დემოკრატიული განვითარების, ქვეყნის სტაბილურობისა და სიმშვიდის მომხრე იყოს, როგორც ამას გვეუბნებიან, რადგან ვისაც საარჩევნო პროცესისთვის ჩირქის მოცხება უნდოდა, ეს იყო მხოლოდ ნაციონალური მოძრაობა. თუმცა, მათ ამის აღსრულება ვერ შეძლეს და ამიტომ გაბრაზებულები არიან. მოლოდინი ჰქონდათ ხელისუფლებაში დაბრუნების, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. ყოველ შემთხვევაში, ეს ნაბიჯი მათთვის ბევრად უფრო მომგებიანია, ვიდრე ბოიკოტი და არშესვლა. დანარჩენს დრო გვიჩვენებს.

მთელი ოთხი წლის განმავლობაში პარლამენტში ეს ადამიანები საკომიტეტო მუშაობას გამოთიშულები იყვნენ, მხოლოდ პლენარულ სესიაზე დადიოდნენ, საჯარო სივრცეში ჩნდებოდნენ და ხელფასს იღებდნენ, მეტი არაფერი არ გაუკეთებიათ მათ პარლამენტში. ამდენად, ისინი როგორ გააგრძელებენ მუშაობას, მხოლოდ მათზეა დამოკიდებული. თუმცა, მე ამაში დიდ პრობლემას ვერ ვხედავ. ჩვენ გვეყოლება უმრავლესობა და საქმეს გავაკეთებთ, პროგრამის რეალიზებისთვის ყველაფერს გავაკეთებთ.

***– პარლამენტის ქუთაისიდან გადმოტანას მხარს დაუჭერთ?***

– ჩვენ არასდროს წავალთ ხალხის ნების წინააღმდეგ. რა დაკვეთაც იქნება საზოგადოების უმრავლესობის მხრიდან, სწორედ ისე ვიმოქმედებთ.

# სოფელ ფლავის მცხოვრები დააკავეს

ე.წ. საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ბრალდებით სოფელ ფლავის მცხოვრები, 28 წლის გიორგი ციცაგი დააკავეს.




ციცაგი ცხინვალის მილიციის იზოლატორშია გადაყვანილი.

დაკავებულის ოჯახის წევრების თქმით, ოკუპირებულ ტერიტორიაზე გიორგი ციცაგი არ გადასულა და მისი დაკავება საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მოხდა.

აღნიშნული პიროვნება ანალოგიური ბრალდებით რუსული საჯარისო დანაყოფის წარმომადგენლებმა რამდენიმე თვის წინაც დააკავეს. მისი გათავისუფლება პირველი დაკავებისას საკმაოდ გართულდა. გიორგი ციცაგმა მაშინ ცხინვალის საპატიმროში ორი თვე გაატარა.

დაკავებულის მამის განცხადებით, ამჯერად დე-ფაქტო სამხრეთ ოსეთის ე.წ. ძალოვანი უწყებებიდან ჯერ არავინ დაკავშირებიათ. ახლობლები შიშობენ, რომ განმეორებითი დაკავების გამო, შესაძლოა, ციცაგის გათავისუფლების პროცესი გართულდეს.

ინტერპრესნიუსი

# პირველი ტურის განმეორებითი კენჭისყრა 4 საარჩევნო უბანზე გაიმართება

8 ოქტომბრის არჩევნების განმეორებითი კენჭისყრა საქართველოს მასშტაბით 4 საარჩევნო უბანზე გაიმართება.

საუბარია პირველი ტურის არჩევნებზე, თუმცა საოლქო-საარჩევნო კომისიებში მიღებული საჩივრებიდან გამომდინარე, ეს ციფრი შესაძლოა კიდევ გაიზარდოს.

როგორც ინტერპრესნიუსს ცესკოს სპიკერმა, ანა მიქელაძემ განუმარტა, დღევანდელი მონაცემებით, განმეორებითი კენჭისყრა ტარდება ზუგდიდის სამ საარჩევნო უბანზე – განმუხურის 39-ე, ასევე სოფელ ჯიხაშკარის 79-ე და 108-ე უბნებზე. გარდა ამისა, განმეორებითი არჩევნები ჩატარდება მარნეულის 48-ე საარჩევნო უბანზე.




განმეორებითი კენჭისყრის თარიღთან დაკავშირებით, გადაწყვეტილებას საარჩევნო კომისია მიიღებს.

– საარჩევნო უბნის შედეგების ბათილად ცნობისას, ცესკო ამ უბანში განმეორებით კენჭისყრას ნიშნავს იმ შემთხვევაში, თუ საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატების მიერ შესაბამის საარჩევნო ოლქში მიღებული ხმების სხვაობა ნაკლებია ამ საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა საერთო რაოდენობაზე.

განმეორებითი კენჭისყრა იმართება 2 კვირის ვადაში, ნებისმიერ დღეს. მაგალითად, პირველი ტური იყო 8 ოქტომბერს, განმეორებითი კენჭისყრა 8 ოქტომბრიდან 2 კვირის ვადაში ნებისმიერ დღეს შეიძლება დაინიშნოს. ამაზე ცესკო იმსჯელებს, – განმარტა ანა მიქელაძემ.

მისივე ინფორმაციით, განმეორებითი კენჭისყრის ჩატარების ბოლო ვადა 22 ოქტომბერია.

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# დიმიტრი ლორთქიფანიძე: „ჩვენ 12% ავიღეთ“

გულიკო ბალაძე

**გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა მათი ხმების გაყალბებაზე საუბრობს. პარტიის ერთ-ერთი ლიდერი დიმიტრი ლორთქიფანიძე აცხადებს, რომ მათი პარტია კონკრეტულ უბნებში ხმების გადათვლას მოითხოვს.**

– მოხდა ჩვენი ხმების ხელოვნური შემცირება. ასეულობით ოქმში ბალანსი არ არის შემდგარი და ისე არის ხელი მოწერილი. მოვითხოვთ ხმების ხელახალ გადათვლას. თუ ჩვენი ხმები არ აღმოჩნდება გაყალბებული, არჩევნებს ვცნობთ, – განაცხადა „ახალ თაობასთან“ დიმიტრი ლორთქიფანიძემ.

***– გადათვლის შედეგად შეიძლება იმდენი ხმა მოგემატოთ, რომ პარლამენტში შეხვიდეთ?***

– იმ უბნებზე, სადაც მე პირადად მყავდა სანდო კომისიის წევრები და არ გაყიდულან, ავიღე 76 ხმა. სამწუხაროდ, ბევრ უბანზე ჩემ მიმართ დაწერილი ხმები აბსოლუტურად ერთი და იგივე ციფრია.

***– მაგალითად, რა ციფრი ეწერა?***

– 26, 27. მაშინ, როცა შედეგი 76-80 ხმა იყო თითოეულ უბანზე. ამის ნათელი მტკიცებულებაა აჭარაში ჩატარებული არჩევნები, სადაც ჩვენ 6.7% დაგვიწერეს. ველარ მოახერხეს, მაჩვენებელი უფრო ქვემოთ ჩამოეყვანათ. თბილისში აშკარად მოახერხეს, რადგან ასეთი იყო დაკვეთა.

***– დაკვეთა?***

– დიახ, როგორც ჩანს, წინასწარი შეთანხმებით, ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადაგველახა ბარიერი, რაც კარგად შეასრულეს. ახლა ჩვენ გვაქვს სრულიად სამართლიანი მოთხოვნა, კონკრეტულ უბნებზე მოხდეს ბიულეტენების გადათვლა. თუ აღმოჩნდება, რომ ჩვენი ხმები არის „ქართული ოცნების“, ნაცმოძრაობის ან თავისუფალი დემოკრატების მიერ მიღებული ხმების დასტასთან ერთად, უნდა გამოიკვეთოს კონკრეტული პასუხისმგებელი პირი, აუცილებლად აღიძრას სისხლის სამართლის საქმე, ჩვენ უნდა აღვდგეთ ჩვენს უფლებებში, უნდა დაგვიბრუნდეს ჩვენი ხმების რეალიზაციის შედეგად პროცენტული მაჩვენებლები.



## „ვითხოვთ ხმების ხელახალ გადათვლას“

ჩვენ 6 მანდატისა და ბარიერის გადალახვისთვის კი არა, სამართლიანობის აღდგენისთვის ვიბრძვით. ამ ქვეყანაში ერთხელ და სამუდამოდ ვილაცამ პასუხი უნდა აგოს გაყალბებული არჩევნებისთვის, ამომრჩეველთა გლობალური მოსყიდვისთვის, კომისიის წევრების დატერორებისთვის და ხელოვნურად მიღებული შედეგებისთვის, რაზეც პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია სს კოდექსის შესაბამისი მუხლებით.

***– იმედი გაქვთ, რომ ხმების გადათვლას მიაღწევთ?***

– ჩვენ მშვიდობიანი მოლაპარაკება ვაწარმოეთ ცესკოსთან. თამარ ჟვანიასგან მიღებული გვაქვს თანხმობა, მაგრამ რამდენად აღსრულდება პირობა, ვერ გეტყვით. ძალიან ბევრი საჩივარი გვაქვს შეტანილი.

***– რომელ უბნებზე უნდა გადაათვლევინოთ ბიულეტენები?***

– საარჩევნო კომისიამ უნდა განიხილოს ჩვენი საჩივრები და უნდა მიიღოს კონკრეტული კანონქვემდებარე გადაწყვეტილება.

***– დაახლოებით რამდენ უბანზე გინდათ გაუქმდეს და ხმები გადაითვალოს?***

– ჩვენი შეფასებით, 12%-ზე ნაკლები არ მიგვიღია. გადათვლა უნდა მოხდეს კომისიური წესით, რომელსაც სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები და არასამთავრობო ორგანიზაციები დაესწრებიან.

***– ვფიქრობდი, თქვენი პარტია გადალახავდა ბარიერს, მაგრამ სხვა რეალობის წინაშე აღმოჩნდით. თქვენ 12%-ს საიდან იღებთ?***

– საზოგადოების ძალიან დიდი ნაწილი ფიქრობდა, რომ საპარლამენტო პარტია ვიქნებოდით. წინა არჩევნებზე ჩვენ არ გვყავდა კომისიის წევრები და 12%-ს ვიღებდით. დღეს გვყავს კომისიის წევრები, პარტიის მიმართ ინტერესი ძალიან გაიზარდა. განსხვავებული საპროგრამო დებულებებიდან გამომდინარე, სრულიად ლოგიკურად, მინიმუმ, წინა არჩევნების შედეგები უნდა გამეორებულიყო. ჩვენ გამოვდივართ კომისიაში ჩვენი იმ წევრების ინფორმაციით, რომლებმაც ბოლომდე იბრძოლეს შედეგებისთვის.

ზოგ უბანზე ჩვენი შედეგი 10-12%-ია. მოხდა ჩვენი ხმების ხელოვნური შემცირება.

ასეულობით ოქმში ბალანსი არ არის შემდგარი და ისე არის ხელი მოწერილი. ოქმები დაუბალანსებელია. ეს არის პირდაპირი ეჭვის საფუძველი, რომ კომისიამ გახსნას და გადაითვალოს ხმები.

***– თქვენ არჩევნების გაყალბებასა და სხვადასხვა მანიპულაციებზე საუბრობთ. ამომრჩეველთა 49% არჩევნებზე არ მივიდა. გამორიცხავთ, რომ ამომრჩეველი ვერ დააჯერეთ თქვენი პარტიის პროგრამის უკეთესობასა და განხორციელების შესაძლებლობაში?***

– 49% არ არის სწორი მაჩვენებელი.

***– რამდენი პროცენტი არ მივიდა არჩევნებზე?***

– ამომრჩევლის საერთო ციფრი – 3 მილიონნახევარი – არ შეესაბამება სინამდვილეს. ქვეყანაში 3 მილიონნახევარი მკვიდრი მოსახლეც აღარ დარჩა.

***– უცხოეთშიც ხომ იყო გახსნილი საარჩევნო უბნები. იქაურ ხმებს შედეგებზე გავლენა არ მოუხდენია?***

– გავლენა არ მოუხდენია, რადგან ქართველების ყველაზე დიდი რაოდენობა რუსეთშია, სადაც საარჩევნო უბანი გახსნილი არ იყო.

***– ისინი საარჩევნო სიაში არ შედიოდნენ?***

– შედიოდნენ და არგამოცხადება იქნება დაფიქსირებული. მე ვსაუბრობ შემაჯამებელი ოქმების გაყალბებაზე, თავიდან გადაწერასა და ამომრჩევლის მოსყიდვაზე (60-დან 120 ლარის ფარგლებში). ჩვენ ასეთი ინფორმაციებიც გვაქვს ძალიან კონკრეტული მტკიცებულებების დონეზე.

არჩევნები გააყალბა „ქართულმა ოცნებამ“ ნაცმოძრაობასთან შეთანხმებით. ეს იყო კოაბიტირებული ძალების მიერ ერთობლივად განხორციელებული სპეცოპერაცია ამომრჩევლის წინააღმდეგ.

***– სხვა პარტიებმაც ვერ გადალახეს ზღვარი. შედეგის თვალსაზრისით, ხომ არ სჯობდა გაერთიანება და ერთიანი ფრონტით ბრძოლა?***

– მექანიკური გაერთიანება პარტიებისა, რომლებსაც ღირებულებითი გადაკვეთის წერტილები არ გააჩნიათ, დანაშაულია. ასეთი დანაშაულის ფაქტის წინაშე 2012 წლის არჩევნების წინ საზოგადოება ბიძინა ივანიშვილმა დააყენა, როდესაც ულტრალიბერალები და კონსერვატორები დააჯგუფა ერთ კოალიციაში. შედეგად ის მივიღეთ, რომ კოალიცია დაიშალა და ერთმანეთის მაგინებლები გამოჩნდნენ.

***– ყოველ შემთხვევაში, 2012 წელს იმ მექანიკურმა გაერთიანებამ თავისი მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.***

– რა როლი შეასრულა, სხვა საკითხია. მე გეუბნებით, რომ იდეოლოგიურად ერთმანეთისაგან აცდენილი პარტიების გაერთიანება არ შეიძლება.

***– ზოგიერთი ანალიტიკოსი თქვენი პარტიის დამარცხების მიზეზად უბლოკო სტატუსის მოთხოვნას ასახელებს, ეს სტატუსი საზოგადოებისთვის მისაღები არ აღმოჩნდა.***

– ჩვენ გვყავდა ძალიან დიდი მხარდამჭერთა არმია. ისინი არჩევნებზეც მოვიდნენ, მხარი დაგვიჭირეს. ბევრი მათგანი ახლაც გვიკავშირდება, გვეუბნება, რომ დავიცვათ მისი ხმები. ამიტომ ჩვენ ვიწყებთ ხმების დათვლის სამართლებრივ პროცედურას.

# მარგველაშვილმა დავით ბაქრაძე აშშ-ში ელჩად დანიშნა



საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა გუშინ, 12 ოქტომბერს, ხელი მოაწერა განკარგულებას, რომლის თანახმად, ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობაზე დავით ბაქრაძე დაინიშნა.

გიორგი მარგველაშვილმა ახლადდანიშნული ელჩი პრეზიდენტის სასახლეში მიიღო.

შეხვედრისას პრეზიდენტმა და ელჩმა საქართველოსა და აშშ-ს, როგორც ჩვენი ქვეყნის სტრატეგიულ პარტნიორს, შორის არსებული ურთიერთობა და თანამშრომლობის პერსპექტივა განიხილეს. საქართველოს პრეზიდენტმა დავით ბაქრაძეს შემდგომ საქმიანობაში წარმატება უსურვა.

დავით ბაქრაძე ახალ თანამდებობაზე მუშაობას 2016 წლის 5 დეკემბრიდან შეუდგება.



# მგზავრებით სავსე მიკროავტობუსი ავტოავარიაში მოყვა

გუშინ, 12 ოქტომბერს, ალმაშენებლის ხეივანში ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. არსებული ინფორმაციით, მგზავრებით სავსე მიკროავტობუსის მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა და ბორდიურზე ავარდა.

შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

**ინტერპრესნიუსი**



# არჩევნებში მონაწილეობა 1.814.276-მა ამომრჩეველმა მიიღო

8 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობა მილიონ 1.814.276-მა ამომრჩეველმა მიიღო. ამის შესახებ ჟურნალისტებს ცენტრალური საარჩევნო კომისიის სპიკერმა ანა მიქელაძემ გუშინ განუცხადა.

მისი თქმით, ამომრჩეველთა უმეტესობას, 51,1%-ს, ქალები წარმოადგენდნენ.

ცესკოს სპიკერმა ასევე საჩივრების შეტანის ვადებსა და განხილვის პროცედურებზეც ისაუბრა. მისი თქმით, 11 ოქტომბერს, 18.00 საათზე ამოიწურა საოლქო საარჩევნო კომისიებში საჩივრების შეტანის ვადა და მათი განხილვის პროცესი მიმდინარეობს.

პროცედურის თანახმად, საოლქო საარჩევნო კომისია საჩივრებს განიხილავს მათი რეგისტრაციიდან 2 დღის ვადაში, ხოლო საოლქო საარჩევნო კომისიების განკარგულებები შესაძლოა გასაჩივრდეს სასამართლოში. ჯამში 73 საოლქო

საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებულია 539 საჩივარი. ბოლო მონაცემებით, საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ 6 უბნის შემაჯამებელი ოქმი ბათილად გამოცხადდა.



ცესკოს პრესსპიკერის ცნობით, ყველა საარჩევნო უბნის მონაცემები დათვლილია და ხელმისაწვდომია ნებისმიერი მსურველისთვის, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებგვერდზე. მიქელაძის თქმით, ამ ეტაპზე მიმდინარეობს მონაცემების გადამოწმებისა და დაზუსტების პროცესი.

**ინტერპრესნიუსი**

# ნოდარ ხადური: „ჩვენ ველოდებით გაცვლითი კურსის დასტაბილურებასა და გამყარებას“

საქართველოს ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური ოპონენტებს მოუწოდებს, ოდნავი ობიექტურობა შეინარჩუნონ.

ხადური ოპონენტებს ასევე ურჩევს, რომ საკუთარი პოლიტიკური დივიდენდების მოსაპოვებლად ნუ გააკეთებენ ისეთ განცხადებას, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებს მათ ავტორიტეტს, – ასე გამოეხმაურა საქართველოს ფინანსთა მინისტრი ჟურნალისტის შეკითხვას, რამდენად მოქმედებს ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი ლარის გაცვლით კურსზე, რაზეც ოპონენტები საუბრობენ.



– თუ თქვენ გადახედავთ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების, მათ შორის სავალუტო ფონდის დასკვნებს და პროგნოზებს, რომლებიც მათ აქვთ, ეს პროგნოზები რეალისტურია და არავის დაუყენებია ისინი ეჭვქვეშ.

მომავალი წელი გაცილებით უკეთესი იქნება. წელსაც უფრო მეტ ეკონომიკურ ზრდას ველოდებით, ვიდრე ეს თავიდან იყო დაგეგმილი. ამავე დროს ისინიც, ეროვნული ბანკიც და ყველა ვთანხმდებით, რომ ბოლო წლების განმავლობაში ბიუჯეტის ხარჯებს არ გამოუწვევია და არც შეეძლო გამოეწვია გაცვლით კურსზე ზემოქმედება, ამიტომ მე მოვუწოდებ ოპონენტებს, რომ ოდნავი ობიექტურობა შეინარჩუნონ და საკუთარი პოლიტიკური დივიდენდების მოსაპოვებლად ნუ გააკეთებენ ისეთ განცხადებას, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებს მათ ავტორიტეტს, – განაცხადა ნოდარ ხადურმა.

ჟურნალისტების შეკითხვაზე, როგორია მისი პროგნოზი ლართან დაკავშირებით, ფინანსთა მინისტრმა აღნიშნა, რომ კონკრეტული პროგნოზების გაკეთება არ შეიძლება. – საშუალოვადიან პერსპექტივაში ჩვენ ნამდვილად ველოდებით გაცვლითი კურსის დასტაბილურებასა და გამყარებას. ეს არის მოკლევადიანი რყევები, რაზეც საქართველოს ეროვნულმა ბანკმა განცხადება გააკეთა, – განაცხადა ნოდარ ხადურმა.

**ინტერპრესნიუსი**

# მინსკის აეროპორტში საქართველოს მოქალაქე დააკავეს



მინსკის ეროვნულ აეროპორტში, მინსკი-კიევის რეისზე, საქართველოს 28 წლის მოქალაქე დააკავეს.

მამაკაცმა თავდაპირველად წარადგინა პასპორტი, რომელსაც გაყალბების ნიშნები ემჩნეოდა, შემდეგ კი აღმოჩნდა, რომ ის საერთაშორისო ძებნაში იმყოფება.

დაკავებულის მიმართ სისხლის სამართლის საქმე დოკუმენტების გაყალბების მუხლით აღიძრა, რაც 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთას გულისხმობს.

ამ დროისთვის არ კონკრეტდება, რა მიზეზით იმყოფება აღნიშნული პირი საერთაშორისო ძებნაში. დაკავებულის ვინაობა არ სახელდება.

**ინტერპრესნიუსი**

# ანზორ წოწონავა: „საკონსტიტუციო უმრავლესობა საჭიროა ქვეყნისთვის“

## „ნაციონალური მოძრაობა უნდა გასამართლდეს“

მარიამ მჭედლიშვილი

**„ქართული ოცნება" მაჟორიტარული საპარლამენტო არჩევნების მეორე ტურის შემდეგ საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვებას აპირებს. ოპოზიციის ნაწილის აზრით, ეს სახიფათოა ქვეყნისათვის, ვინაიდან ერთი ჯგუფის მხრიდან ძალაუფლების უზურპაციას გამოიწვევს. ამას არ ეთანხმება იურისტი, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო და ადამიანის უფლებათა კომისიის თავმჯდომარე ანზორ წოწონავა.**

**ანზორ წოწონავა:**

– არჩევნების შემდეგ გაისმის განცხადებები იმის შესახებ, რომ „ქართულ ოცნებას“ საკონსტიტუციო უმრავლესობა თუ ექნება პარლამენტში, ესაა ავტორიტარიზმი და საბჭოთა კავშირში დაბრუნება. ამას ამბობენ ოპოზიციონერები, ექსპერტები, იურისტები. ეტყობა, ამ განცხადებების ავტორებს უნდათ თავის გამოჩენა და რომის პაპზე მეტი კათოლიკობა.

***– საკონსტიტუციო უმრავლესობა საფრთხეს არ შეიცავს?***

– საქართველო ახლა ისეთ მდგომარეობაშია, რომ კონსტიტუციაში ცვლილებები ჰაერივით სჭირდება. ეს უნდა განახორციელოს პარლამენტმა. მომავალ პარლამენტში, რომელიც 8 ოქტომბერს ავირჩიეთ, წინასწარი გათვლით, საკონსტიტუციო უმრავლესობა ეყოლება „ქართულ ოცნებას“. ეს აუცილებელია იმისთვის, რომ კონსტიტუციაში შევიდეს შესწორებები და გასწორდეს ის შეუსაბამობები, რომლებიც სააკაშვილის დროს იქნა მიღებული.

***– სააკაშვილის მიერ დაშვებული შეცდომების გასწორებაზე 2012 წლიდან მიდის საუბარი.***

– სწორედ ეგაა უბედურება. სააკაშვილისა და ნაციონალების დროს კონსტიტუციით ავტორიტარიზმი დამკვიდრდა. მერე სააკაშვილმა, იმის გამო, რომ პრეზიდენტად კიდევ ერთხელ ველარ იყრიდა კენჭს, ისე გადააკეთა და გადმოაკეთა კონსტიტუცია, რომ მომავალში პრემიერი ყოფილიყო. ამ კონსტიტუციაში აღრეულია ფუნქციები. 2012 წლის შემდეგ ძალიანაც უნდოდათ ამ ყველაფრის გასწორება, მაგრამ ხმები აკლდებოდათ. „ქართულ ოცნებას“ საკმარისი დეპუტატები არ ჰყავდა, ნაციონალები კი ცვლილებებს ეწინააღმდეგებოდნენ. მარტო დავით უსუფაშვილი ამას ვერ გამოასწორებდა.

ახლა დადგა ამის დრო და ახლაც წინააღმდეგობაა. ექსპერტები და პოლიტიკოსები პარალელებს ავლებენ აშშ-სთან და ძველი დემოკრატიის სხვა სახელმწიფოებთან. იმათ როგორ ვედრებით? ეს ქვეყნები 200 წელიწადზე მეტია, დემოკრატიას აშენებენ, ჩვენ კი სულ რაღაც 25 წელიწადი. აშშ-ის კონსტიტუციაში არ შესულა ცვლილება, რომელიც მმართველობით სისტემას ეხება. ჩვენთან კი 70-ზე მეტი შესწორებაა შეტანილი. სააკაშვილის დროს მიღებული ცვლილებები უმსგავსო, უგუნური და საკუთარ თავზე მორგებულია. ეს დანაშაულია. მიმაჩნია, რომ უნდა არსებობდეს სამართლებრივ-პოლიტიკური კოდექსი, რომელიც სერიოზული შეცდომებისათვის დასჯიდა ლიდერებს და პოლიტიკოსებს.

ახლა გვიხდება მათი დანაშაულების გამოსწორება. ასეთი შეცდომები ქვეყნის ღალატია. ან ის რას ნიშნავდა, რომ სააკაშვილმა საკონსტიტუციო სასამართლო ბათუმში მიავლინა, ხოლო პარლამენტი ქუთაისში?

***– ეს არ იყო სწორი გადაწყვეტილება?***

– რა თქმა უნდა, არ იყო. სააკაშვილს განათლების სამინისტროს, უმაღლესი სასწავლებლების, ასევე ეროვნული ბანკის გადატანაც უნდოდა დედაქალაქიდან, მაგრამ, კიდევ კარგი, არ დასცალდა. სტუდენტური ქალაქების მოწყობა სხვა ქალაქებშიც შეიძლება, მაგრამ სააკაშვილი ამასაც პოლიტიკური თვითდამკვიდრებისთვის აკეთებდა.

***– ამ დღეებში ითქვა, რომ საკონსტიტუციო ცვლილებები ერთმა პარტიამ არ უნდა განახორციელოს.***

– პროცედურები ამას ითვალისწინებს. საყოველთაო-სახალხო განხილვა ამისთვის არსებობს. საკონსტიტუციო ცვლილებებზე აზრს გამოთქვამენ არასამთავრობო ორგანიზაციები. გარდა ამისა, აუცილებლად იქნება გათვალისწინებული საერთაშორისო თანამეგობრობის პოზიცია. თანაც, პარლამენტი არაა ერთპარტიული.

***– სამპარტიული პარლამენტი ასახავს მოსახლეობის განწყობას?***

– ვფიქრობ, რომ სრულად არა. ეჭვს არ იწვევდა, რომ ხალხის უმრავლესობა აირჩევდა „ქართულ ოცნებას“ და მხარდაჭერას გამოუცხადებდა ბიძინა ივანიშვილს. ძალიან მიკვირს, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ ამდენი ხმა მიიღო. ეს პარტია ქვეყნისთვის ავადმყოფობა გახდა მას შემდეგ, რაც მისი ლიდერი გახდა სააკაშვილი. 2003 წლის შემდეგ ამ პარტიამ ბევრი ზიანი მიაყენა სახელმწიფოს. ნაციონალები ახლაც აგრძელებენ სამართლებრივ და სხვაგვარ ხრიკებს. ისინი ებრძვიან არა „ქართულ ოცნებას“, არამედ ქვეყანას.



***– პარლამენტში მათ შესვლაზე რას იტყვით? ჯობია, პარლამენტში იყვნენ და ბოიკოტი არ გამოაცხადონ?***

– მათი პარლამენტში შესვლით ბევრი არაფერი იცვლება. თუმცა, უკეთესია, რომ ნაცმოძრაობა პარლამენტში იყოს. ამ პარტიის დამანგრეველი მოქმედებები აფხაზეთის დეპუტაციამ ადრე ჩვენ ტყავზე გადავიტანეთ. ისინი ეწინააღმდეგებოდნენ ყველა ჩვენს წინადადებას. ბოლოს, პარლამენტიდანაც გაგვიშვეს. ბოლო დროს სწორედ ნაციონალებისგან მოდის იდეა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თბილისში არჩევის შესახებ. ეს ანტიკონსტიტუციურია და წყალს ასხამს სეპარატისტული რეჟიმის წისქვილზე. 9 წლიანი მმართველობის დროს ჩადენილი უამრავი დანაშაულის გამო, სააკაშვილის პარტიას პასუხი არ უგია. ეს პარტია უნდა გასამართლდეს.

***– ნაცმოძრაობის გასამართლება აღარ დგას დღის წესრიგში.***

– უნდა დადგეს. ამ პარტიამ გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა ქვეყანას. ნაციონალების მიერ გაუბედურებულ კონსტიტუციას შველა სჭირდება. კონსტიტუციას გასწორება ესაჭიროება ტერიტორიული მთლიანობისთვისაც. ამისათვის მკაფიოდაა განსასაზღვრი, როგორი ტიპის მმართველობა გვაქვს – საპარლამენტო, საპრეზიდენტო თუ შერეული. გასამიჯნია ფუნქციები ცენტრსა და რეგიონებს შორის. ეს აუცილებელია ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის. ახლანდელი კონსტიტუცია კი არ გვეხმარება, ცხოვრებას გვიშლის.

უნდა გვქონდეს ისეთი კონსტიტუცია, რომელიც დაგვეხმარება. „ქართულ ოცნებას“ ამის შანსი ეძლევა. ამ პარტიას ნაციონალების შეცდომები არ გაუმეორებია. მას არც გარდაუქმნია ეროვნული ბანკი, აუდიტის სამსახური, სხვა სტრუქტურები. მათ ბოლომდე ნაცმოძრაობა აკონტროლებდა. ნაცმოძრაობის გამო ხალხის მდგომარეობა დღემდე მძიმეა. ავტორიტარული მმართველობა სააკაშვილს ჰქონდა. „ოცნების“ პირობებში ეს საშიში არ არის. კონსტიტუცია კი ნამდვილად გასასწორებელია. ეს უნდა გააკეთოს პარლამენტის საკონსტიტუციო უმრავლესობამ.

---

მედიცინა



# ქალების 43% ვერ გრძნობს გულის ტკივილს

ტკივილი გულის არეში, წარმოშობის მიზეზების მიხედვით რამდენიმე ჯგუფად იყოფა: ანგინოზური ტკივილი, რომელიც ვითარდება გულის იშემიური დაავადების სხვადასხვა სტადიების დროს. მას იწვევს მიოკარდიუმის განსაზღვრულ უბნებში სისხლის მიდინების შემცირება (სტენოკარდია, ინფარქტი),

ტკივილი გულის არეში, გამოწვეული გულის ანთებითი დაავადებებით, გულის თანდაყოლილი და შეძენილი მანკებით ან ვეგეტო-სისხლძარღვოვანი დისტონიით, არაკარდიული პათოლოგიით გამოწვეული ტკივილები.

როგორ განვასხვავოთ, ტკივილი გულის პათოლოგიით არის გამოწვეული თუ არა?

თუ ტკივილი გულის იშემიური დაავადების (სტენოკარდია, ინფარქტი) გამოვლინებაა, ასეთი ტკივილებისათვის დამახასიათებელია ტკივილის აღმოცენება ან გაძლიერება სიარულის, ემოციური დაძაბულობის დროს (ფიზიკური დატვირთვის ან ემოციური დაძაბულობის დროს ხდება სისხლის მიმოქცევის გაძლიერებაზე მოთხოვნილების აღმოცენება), და მისი შესუსტება ან გაქრობა მოსვენებისას. ასეთი ტკივილი ხშირად იხსნება ნიტროგლიცერინის მიღების ფონზე.

ძალიან ძლიერი, ზეწოლითი, მოჭერითი ხასიათის ტკივილი, მკერდის ძვლის უკან ან მისგან მარცხნივ, რომელიც განიცდის ირადიაციას (გადაცემას) ხელში, კისერში, მარცხენა ბეჭში, ზოგჯერ ქვედა ყბაში ან კბილშიც კი, შეიძლება მიოკარდიუმის ინფარქტის ერთ-ერთი სიმპტომი იყოს. ამასთან, ის შეიძლება აღარ მოიხსნას ნიტროგლიცერინით.

რევმატიული დაავადებით გულის დაზიანების ფონზე აღმოცენებული ტკივილის მიზეზი არის გულის გარეთა გარსში – პერიკარდიუმში განვითარებული ანთებითი ცვლილებები. ასეთი ტკივილები, როგორც წესი, ხანგრძლივია, ხშირია მკერდის ძვლის უკან ტკივილი, რომელიც ძლიერდება სუნთვის, ხველების დროს. ასეთი ტკივილი არ იხსნება ნიტროგლიცერინით, მაგრამ შეიძლება შესუსტდეს ტკივილდამაყუჩებელი პრეპარატების დანიშვნის შემდეგ.

თუ ტკივილი გულის არეში იცვლება წინ დახრის ან სხეულის შემობრუნების დროს, ასევე ღრმა შესუნთქვისას და ამოსუნთქვის, ხელების მოძრაობის დროს ასეთი ტკივილი გამოწვეულია გულმკერდის რადიკულიტით.

ნიტროგლიცერინისა და ვალიდოლის მიღება პრაქტიკულად არ ცვლის ტკივილის ინტენსივობას.

* * *

ძლიერი ტკივილი ნეკნთაშუა არეების გასწვრივ, ჩვეულებრივ, ჰერპეს ზოსტერის ადრეული გამოვლინებაა, ხოლო გულის არეში აღმოცენებული გახანგრძლივებული, შემაწუხებელი ყრუ ტკივილი და სიმძიმის შეგრძნება ან ჩხვლეტითი ხასიათის ტკივილი ნევროზის გამოვლინებაა.

სტრესი და დეპრესია გამოვლინდება ძირითადად ტკივილით კისრისა და მხრის ნაწილში. ასეთი ტკივილი უმეტესწილად კუნთოვანი წარმოშობისაა. ხშირად ქოშინი, მოჭერითი ან ჩხვლეტითი ტკივილი გულის არეში დაკავშირებულია ნაწლავების შებერილობასთან, რაც დიაფრაგმის გზით აწვება გულის მწვერვალს და ამით ახდენს მისი ფუნქციის გაუარესებას. თუკი ტკივილის აღმოცენება გარკვეულად უკავშირდება განსაზღვრული სახის საკვების მიღებას, შესაძლოა მისი მიზეზი სწორედ ეს არის და არა გულის დაავადება.




ნაღვლის ბუშტის ანთებით ან ნაღველკენჭოვანი დაავადებით გამოწვეული ტკივილი ასევე შეიძლება გამოვლინდეს გულის არეში ან ბეჭის მიდამოში განვითარებული ჭვალის სახით.

* * *

ტკივილის მიზეზი შესაძლოა გახდეს ხერხემლის გულმკერდის მიდამოს სხვადასხვა დაზიანება, მაგ. ოსტეოქონდროზი, ხერხემლის გამრუდება, დისკოზი და სხვ.

გულის არეში ტკივილის დროს, საჭიროა გავერკვეთ, თუ რამდენად სახიფათოა ის ჩვენი ჯანმრთელობისათვის და რამდენად საჭიროა სასწრაფოს გამოძახება. ამისათვის უნდა გავითვალისწინოთ ტკივილის ხასიათი.

გულის დაავადების სიმპტომებია გულმკერდის მარცხენა ნახევარში აღმოცენებული ტკივილი, გულის ფრიალი, გულისცემისა და „გამოვარდნების“ შეგრძნება, ქოშინი, შეშუპება, გულის წასვლა, გონების უეცარი გაკარგვა.

უნდა აღინიშნოს, რომ ქალების 43% საერთოდ ვერ გრძნობს ტკივილს გულმკერდში და უჩივის ტკივილს ძირითადად ხერხემლის მიდამოში ან გულმკერდის ზედა ნაწილში. ქალებში გულის დაავადებების ნიშანი შეიძლება იყოს სუნთქვის გაძნელება, საერთო სისუსტე, ცივი ოფლი და თავბრუსხვევა.

ნევროზების, გულის მანკების, ხერხემლის კისრისა და გულმკერდის ნაწილის, ასევე მთელი რიგი შინაგანი ორგანოების დაავადებებით გამოწვეული ტკივილი ძალიან ხშირად ემგვანება სტენოკარდიულ შეტევას, ამიტომ დიაგნოზის დადგენა შეუძლია მხოლოდ ექიმ-კარდიოლოგს.

არ გადადოთ დიდხანს ვიზიტი ექიმთან (უმჯობესია კარდიოლოგთან);

აუცილებლად გაიკეთეთ ელექტროკარდიოგრამა (ეკგ), სტრეს-ეკგ (ეს არის ეკგ, ჩაწერილი ფიზიკური დატვირთვის ფონზე) და ჩაიტარეთ ეკგ-ს სადღეღამისო მონიტორირება.

**მკურნალობა მამაკაცებისთვის!**

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

# მალამო, რომელიც უამრავ დაავადებას შველის

როცა ტრადიციული მედიცინა უძლურია, ადამიანი ხალხურ მეთოდებს მიმართავს. ექიმბაშების ზოგიერთ მალამოს აფთიაქებისაზე უკეთესი შედეგი აქვს. დღეს ერთ-ერთ ასეთ რეცეპტს გაგიმხელთ. ჯადოსნური მალამო იარებსა და კანის დაავადებებს კურნავს. აგრეთვე, ეფექტიანია ანთებებისა და ვენების გაგანიერების დროს.

დაგჭირდებათ: 200 მლ ზეითუნის ზეთი, 100 გრამი ნატურალური თაფლის სანთელი, 100 გრამი წიწვოვანი ხეების (ფიჭვის) ფისი, 2 სადილის კოვზი თაფლი და 1-2 გრამი პროპოლისი.



მომზადება: ქვაბში მოათავსეთ თაფლის სანთელი, ზეითუნის ზეთი და წიწვოვანი ხეების ფისი (იგი შეგიძლიათ წინასწარ დაფხვნათ). წყლის აბაზანაზე გააჩერეთ 10-12 წუთი. გაადნეთ მუდმივი მორევით. დაუმატეთ თაფლი და კიდევ 8-10 წუთი მოხარშეთ. ბოლოს დაუმატეთ პროპოლისი და 8-10 წუთის შემდეგ ქვაბი ცეცხლიდან გადმოდგით. გაგრილებული მალამო მინის ქილაში მოათავსეთ. იგი აუცილებლად მაცივარში უნდა შეინახოთ. წაისვით მტკივან ადგილზე 2-3-ჯერ დღეში.

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# რუსეთმა ალეპოს მასირებული დაბომბვები განაახლა



ასადის არმია ალეპოს აღმოსავლეთ რაიონებზე შეტევებს განაგრძობს. ცხარე ბრძოლების შემდეგ ასადის მხედრობამ დიდი დანაკარგები განიცადა და უკან დაიხია. ამის შემდეგ პარტიზანებმა რამდენიმე დაკარგული პოზიცია დაიბრუნეს.

ასადმა პუტინს დახმარებისთვის მიმართა.

ალეპოს თავზე რუსული გამანადგურებლები გამოჩნდნენ. რამდენიმედღიანი შესვენების შემდეგ ქალაქის მასირებული დაბომბვა განახლდა. რუსები იყენებენ ე.წ. „ბუნკერულ ბომბებს“, რომლებიც მიწის ქვეშ ფეთქდებიან.

დიდი მსხვერპლია მშვიდობიან მოსახლეობაში. დაღუპულთა შორის ბავშვებიც არიან.

# ერდოღანმა პუტინს არ დაუჯერა



ტელე-კომპანია „დოჟდმა“ პუტინ-ერდოღანის შეხვედრის რიგი გაუხმაურებელი დეტალი გამოამზეურა. განსაკუთრებული ყურადღება უკრაინის საკითხს დაეთმო.

– პუტინმა კატეგორიულად მოითხოვა, რომ თურქეთმა ყირიმი რუსეთის ნაწილად აღიაროს, ხოლო დონბასში მინსკის შეთანხმებების დარღვევაში უკრაინა დაადანაშაულოს, – იტყობინება „დოჟდი.“

პრეზიდენტმა ერდოღანმა პუტინის მოთხოვნა უარყო. ასევე გადაუწყვეტელია „თურქული ნაკადის“ დაფინანსების საკითხი.

– გაზპრომის პათეტიკური რელაციები უადგილოა. სინამდვილეში „თურქული ნაკადი“ ჰაერში ჰკიდია, – იტყობინება „დოჟდი“.

# იულია ტიმოშენკო ყველაზე პოპულარული უკრაინელი პოლიტიკოსია



უკრაინელ პოლიტიკოსებს შორის ყველაზე მეტი რეიტინგი იულია ტიმოშენკოს აქვს.

დღეისთვის მას მხარს 21% უჭერს (ერთი თვის წინ ეს მაჩვენებელი 19-20%-ს შორის მერყეობდა).

მეორე ადგილზეა ოპოზიციური ბლოკის ლიდერი ბოიკო – 12%. მისი რეიტინგი იგივეა, რაც ერთი თვის წინ.

მოქმედი პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო 11%-ით მესამეზეა.

პოლიტიკურ პარტიებში ლიდერობას კვლავაც ბატკივშჩინა ინარჩუნებს – 19%. მეორეზეა პეტრო პოროშენკოს ბლოკი – 11%, მესამე-მეოთხე ადგილებს 10-10 პროცენტით სამოპომოშჩი და ოლეგ ლიაშკოს რადიკალური პარტიები იყოფენ.

ოპოზიციური ბლოკი 9%-ით მეხუთეზეა.

ნატოს მიმართ უკრაინელთა დამოკიდებულება არ შეცვლილა. 66% ამ ბლოკში გაწევრიანების მომხრეა. ევროკავშირში შესვლას 71% ემხრობა.

შეკითხვაზე, უკრაინის ეროვნულ გმირად ვინ მიგაჩნიათო, შემდეგი პასუხი გასცეს: პირველ ადგილზე ვლადიმერ მონომახია, მეორეზე – სტეპან ბანდერა, შემდეგ მოდიან ბოგდან ხმელნიცკი, ივანე მაზეპა, ვალერი ლობანოვსკი, აკადემიკოსი ამოსოვი და ა.შ.

უკრაინის ყველაზე დაუძინებელ მტრებს შორის პირველობა იოსებ სტალინს ერგო. ასეთად მას მოსახლეობის 73% მიიჩნევს. შემდეგ მოდიან ადოლფ ჰიტლერი, ვლადიმერ პუტინი, პეტრე პირველი, ეკატერინე მეორე და ა.შ.

# ტრამპის რეიტინგი ვარდნას განაგრძობს



ტელე-დებატების მეორე ტურში გამანადგურებელი მარცხის შემდეგ დონალდ ტრამპის რეიტინგი მკვეთრად დაეცა.

ჰილარი კლინტონს მხარს 58% უჭერს, ტრამპს – 40%. თვით ტრამპის მომხრე მედიასაც კი შემდეგი ციფრები მოჰყავს: მისის კლინტონს მხარს 46% უჭერს, ტრამპს – 36%.

მონაცემებში განსხვავება უდიდესია. ცხადია ერთი: ტრამპის რეიტინგი მკვეთრად დაეცა და ვარდნას განაგრძობს.

ამასობაში იზრდება განხეთქილება თავად რესპუბლიკელებს შორის. ჩვენ უკვე ვწერდით, რომ წარმომადგენლობითი პალატის სპიკერმა, რესპუბლიკელმა რაიანმა ტრამპი საჯაროდ გააკრიტიკადა და მას გაემიჯნა.

ამან ტრამპი აღაშფოთა.

– სჯობს, რაიანმა ბიუჯეტსა და უმუშევრობის პრობლემებს მიხედოს, – განაცხადა მან.

რაიანს მხარი არაერთმა სენატორმა და კონგრესმენმა დაუჭირა. სამაგიეროდ, ტრამპს კვლავაც მხარდაჭერას უცხადებს რესპუბლიკური პარტიის ნაციონალური კომიტეტი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# შვილმა ტრამპს არ აკოცნინა



რესპუბლიკური პარტიიდან აშშ-ს პრეზიდენტობის კანდიდატის დონალდ ტრამპის შვილმა ტიფანიმ თავი აარიდა მამას, რომელიც შეეცადა მისთვის ეკოცნა. მომხდარის ვიდეოჩანაწერი სოციალურ ქსელებში აიტვირთა.

ინციდენტი ტრამპისა და დემოკრატიული პარტიიდან პრეზიდენტობის კანდიდატ ჰილარი კლინტონს შორის გამართული დებატების შემდეგ მოხდა. ტიფანიმ მამის კოცნას თავი სპეციალურად აარიდა, თუ ეს უბრალოდ შემთხვევით მოხდა, უცნობია.

შეგახსენებთ, რომ ტრამპს სულ ხუთი შვილი ჰყავს: დონალდ-უმცროსი, ივანკა და ერიკი (ივანა ზელნიჩკოვასთან პირველი ქორწინებიდან), ტიფანი (მარლოი მეიპლსთან მეორე ქორწინებიდან) და ბერონ უილიამი (მელანი კნაუსთან მესამე ქორწინებიდან).

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# განცხადებები


● სიახლე! სტომატოლოგიური კლინიკა გთავაზობთ მომსახურებას თქვენს ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ორი ყბის ფასი 250 ლარი. იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

**მკურნალობა**

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● უცხოეთში კვალიფიცირებული ექიმი-პედიატრი, გთავაზობთ სხვადასხვა სახის, ზოგადი პროფილის, ასევე ყველა ასაკის ბავშვთა მასაჟს. ვმუშაობ სხეულის კორექციაზეც ვაკუუმ-მასაჟის მეთოდით. მსურველებს, საჭირო კურსის ჩატარების შემდეგ, ექნებათ ლიპოსაქციის ეფექტი. 599 48-66-39.



**წვერსაპარსი PHILIPS**
**70 ლარად 150 ლარის ნაცვლად**



✓ მოძრავი პირები, რომლებიც იმეორებს თქვენი სახის კონტურს;
✓ მოქნილი ერგონომიკა ოპტიმალური ხმარებისთვის;
✓ სამუშაო ძაბვა 220 ვტ;
✓ გასაწმენდი ჯაგრისი;
✓ აკუმულატორი;
✓ მოჰყვება დამტენი;
✓ დატენვის ინდიკატორი;
✓ ბაკების გასასწორებელი;
✓ ორმაგი უჟანგავი რკინის პირი;
✓ მუშაობს შიდა აკუმულატორზე;
✓ ტრიმერი ბაკების და ულვაშების გასასწორებლად;

**შეიძინეთ Mozer-1800 – პროფესიონალი გერმანული თმის საკრეჭი!**
**50 ლარად 95 ლარის ნაცვლად**




ძრავი: 6 000 ბრ/წთ
ხმაურის დაბალი დონე;
საწმენდი ჯაგრისი, დანების ზეთი;
ხუთი საკრეჭი თავი
მასალა - უჟანგავი ფოლადი.

**სმენის აპარატი 45 ლარად 90 ლარის ნაცვლად**

1.ხმის გაძლიერება 50дБ.–120
2.ხმის რეგულირება.
3.ერგება ორივე ყურზე.
4.პატარა,მსუბუქი,შეუმჩნეველი.
5.კომპლექტშია:მოწყობილობა 1 ც
რბილი რეზინები ყურებისთვის 3ც.
ელემენტები LR41 –
ჩასადები ყუთი,ინსტრუქცია.



მაღაზია Stop&Shop
დარეკეთ წინასწარ! ☎: 2-182-186.
მის: ვაჟა-ფშაველას №79. (უკანა მხარე)
579 885 996
ქ.ზესტაფონი. რუსთაველის №158



**30 ლარად 55 ლარის**
**უმაღლესი ხარისხის ელექტროლეიბები**

ეკონომიურია და, რაც მთავარია, აბსოლუტურად უსაფრთხო...
ერთი თვის განმავლობაში მოიხმარს 1-2 ლარის ღირებულების ელექტროენერგიას.
რეჟიმი: 2
ტემპერატურა: 45-55°; დაცულია გადახურებისგან



**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# ზაზა ფაჩულიას ამერიკული პრესა მეტისკენ მოუწოდებს




ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში ჯერ სეზონი არ დაწყებულა, მაგრამ წინასასეზონო მატჩების შემდეგ კრიტიკა დაატყდა გოლდენ სტეიტ უორიორზის ქართველ კალათბურთელ ზაზა ფაჩულიას. როგორც ოკეანის გაღმა ვარაუდობენ, სეზონი სასტარტო ცენტრად თამაში შეიძლება არა ზაზა ფაჩულიამ, არამედ ჯავილ მაკგიმ დაიწყოს.

ამერიკულ მედიაში გოლდენ სტეიტის ცენტრის პოზიციის სისუსტეზე ლაპარაკი გაძლიერდა, მაგრამ მიუხედავად ამ ხმებისა, მაინც სწორედ ქართველი ცენტრფორვარდია სასტარტო ხუთეულში დაწყების მთავარი ფავორიტი.

მაკგის ნბა-ს ანალიტიკოსები და ფანები ხშირად აკრიტიკებენ დაბალი საკალათბურთო აიქიუს გამო. თუმცა, არ გამორიცხავენ, რომ მწვრთნელმა შესაძლოა, ის დააწინაუროს მეტი ათლეტიზმისა და სროლების დაფარების უკეთესი უნარის გამო.

მაგკის მხარი დაუჭირა გოლდენ სტეიტის ვეტერანმა ანდრე იგუოდალამ, რომელიც მის დაწინაურებაზე კლუბის ხელმძღვანელობასაც კი ელაპარაკა.

ანდრე იგუოდალა:

– ვესაუბრე ძალიან ბევრ ადამიანს, სპეციალისტებს, კლუბის წევრებს. მაგკი სჯობს იმ ბიჭებს, ვისაც გასულ სეზონში ფულს ვუხდიდით, ბევრად სჯობს.

იგუოდალა და მაკგი დენვერში თანაგუნდელები იყვნენ და ძალიან ახლოს მეგობრობდნენ.

# ახალგაზრდულ ნაკრებში ექსპერიმენტები გრძელდება



საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის სათადარიგო მოედანზე ცხინვალს შეხვდა და 1:1 ეთამაშა.

ამ ფორმაციის ნაკრები ახალ სეზონს დაიწყებს. გია გეგუჩაძის ნაკრებმა ერთი საკონტროლო მატჩი უკვე გამართა და საფრანგეთთან 1:5 დამარცხდა. თუმცა, გეგუჩაძე აგრძელებს ნაკრების კანდიდატების ძიებასა და მათ თავის გამოჩენის შანსს აძლევს. მწვრთნელმა ცხინვალთან მატჩში საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელებს უხმო და მათ გარდა ორი ლეგიონერიც ნახა საქმეში: ესპანური ალბასეტედან ლადო მოხევიშვილი და ბელგიური გენტიდან გიორგი ბერიძე.

პირველი ტაიმი ცხინვალმა მოიგო, შესვენების შემდეგ კი თელავის ნახევარმცველმა ნიკოლოზ ბაშალეიშვილმა აღადგინა წონასწორობა.

საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ცხინვალთან ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ქურდაძე, ჩაჩუა (ნოზაძე 46), ნადარაია (გადრანი 46), ჭიჭინაძე (ბაშალეიშვილი 46), კომახიძე (ახალაძე 46), მამუჩაშვილი, მოხევიშვილი, გამცემლიძე (კობახიძე 46), ზარია, ბერიძე, ლილუაშვილი (იმნაძე 46)

# შედეგები

**11 ოქტომბერი**

**ფეხბურთი**

**მჩ-2018. შესარჩევი ეტაპი**

**ევროპა**

| | |
|---|---|
| ყაზახეთი-რუმინეთი | 0:0 |
| გერმანია-ჩრ.ირლანდია | 2:0 |
| დანია-ჩერნოგორია | 0:1 |
| ლიტვა-მალტა | 2:0 |
| ნორვეგია-სან მარინო | 4:1 |
| პოლონეთი-სომხეთი | 2:1 |
| სლოვაკეთი-შოტლანდია | 3:0 |
| სლოვენია-ინგლისი | 0:0 |
| ჩეხეთი-აზერბაიჯანი | 0:0 |

**ს.ამერიკა**

| | |
|---|---|
| ბოლივია-ეკვადორი | 2:2 |
| კოლუმბია-ურუგვაი | 2:2 |
| არგენტინა-პარაგვაი | 0:1 |
| ჩილე-პერუ | 2:1 |
| ვენესუელა-ბრაზილია | 0:2 |

**აზია**

| | |
|---|---|
| ავსტრალია-იაპონია | 1:1 |
| ერაყი-ტაილანდი | 4:0 |
| უზბეკეთი-ჩინეთი | 2:0 |
| ირანი-ს.კორეა | 1:0 |
| კატარი-სირია | 1:0 |
| ს.არაბეთი-საემიროები | 3:0 |

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| აშშ-ა.ზელანდია | 1:1 |
| მექსიკა-პანამა | 1:0 |
| ჰონ კონგი-სინგაპური | 2:0 |
| მალაიზია-ავღანეთი | 1:1 |
| ყირგიზეთი-თურქმენეთი | 1:0 |
| ლიბანი-ეკ.გვინეა | 1:1 |
| ომანი-ბახრეინი | 2:2 |
| ს.აფრიკა-განა | 1:1 |
| მაროკო-კანადა | 4:0 |

| | |
|---|---|
| ეჩ-2017. შესარჩევი ეტაპი | (21) |
| ინგლისი-ბოსნია | 5:0 |
| ყაზახეთი-ნორვეგია | 0:3 |
| კვიპროსი-ჰოლანდია | 1:4 |
| თურქეთი-სლოვაკეთი | 1:1 |
| სომხეთი-უელსი | 1:3 |
| ბულგარეთი-რუმინეთი | 2:0 |
| ლიტვა-იტალია | 0:0 |
| სერბეთი-სლოვენია | 3:1 |
| ავსტრია-გერმანია | 1:4 |
| დანია-ლუქსემბურგი | 4:1 |
| მალტა-მოლდოვა | 3:2 |
| რუსეთი-ფინეთი | 1:1 |
| ლიხტენშტეინი-პორტუგალია | 1:7 |
| ბელგია-ლატვია | 0:1 |
| ისლანდია-უკრაინა | 2:4 |
| მაკედონია-შოტლანდია | 2:0 |
| ჩრ.ირლანდია-საფრანგეთი | 0:3 |

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# ანდრე გომეში: „ბარსამ მოლოდინს გადააჭარბა“

ბარსელონაში ვალენსიადან გადაბარგებულმა პორტუგალიის ნაკრების ნახევარმცველმა ანდრე გომეშმა ინტერვიუ მისცა კატალონიურ პრესას.

***– როგორ მიდის ადაპტაციის პროცესი ბარსელონასა და გუნდში?***

– როგორც პროფესიონალურ, ასევე პირად ცხოვრებაში ყველაფერი ძალიან კარგადაა. ქალაქს შევეგუე, აქაურობა ულამაზესია. ვიცოდი, რომ ბარსელონაში ბევრ რამეს ვისწავლიდი. ბედნიერი ვარ. ყველა მეხმარება პირველივე დღიდან. სათამაშო პრაქტიკა მეძლევა. ვტკბები თითოეული თამაშითა და ვარჯიშით.

***– ვალენსიას ძირითადში იყავით, ახლა კი თითოეული სათამაშო წუთისთვის ბრძოლა გიწევთ. როგორ აფასებთ ცვლილებას?***

– ყველაფრის ნულიდან დაწყება მომიწევს. გამოწვევები ასე უნდა მიიღო. ვიცოდი, რისი გაკეთება მომიწევდა. ჩემს პოზიციაზე მყავს კონკურენტები, მაგრამ პირველივე დღიდან ვფიქრობ, რომ ჩემი აქ გადმოსვლა შეცდომა არ ყოფილა.

***– საყრდენის პოზიციაზე ითამაშეთ, ამას მოელოდით?***

– რა თქმა უნდა, არა. მაგრამ გუნდისთვის ასე იყო საჭირო და ჩემი საქმე შევასრულე. ეს ახალი პოზიციაა, მაგრამ ყოველი მატჩით ვტკბები, სადაც არ უნდა ვიდგე. პრაქტიკის შანსი მაბედნიერებს.

***– რა შეგრძნებაა აქ გადმოსვლა და ისეთი ხალხის დანახვა, როგორიც მესია? როგორც პროფესიონალისთვის, ასეთი რამ მარტივია?***

– თითოეულ მათგანს დავუახლოვდი. ეს სწორედ ის ადგილია, სადაც მინდოდა, რომ ვყოფილიყავი. პირველივე დღიდან ლეო, ანდრესი და ბუსკეტსი მეხმარებიან. ძალიან ბედნიერი ვარ.

***– როგორ დაგეხმარნენ ადაპტაციის გავლაში?***

– ისინი ტაქტიკურ და სავარჯიშო ადაპტირებაში დამეხმარნენ. რაც ყველაზე მთავარია, თანაგუნდელები გამაცნეს. აქ იყვნენ მოთამაშეები, რომლებსაც არ ვიცნობდი. სწორედ ლეოს, ანდრესის და ბუსკეტსის წყალობით, მათთან კონტაქტი დავამყარე.



***– ლეო მესი მხოლოდ ის არის, რასაც ტელევიზორიდან ვხედავთ, თუ არის მასში რაღაც კიდევ უფრო მეტი ვარჯიშებზე?***

– არ ვიცი, რა გითხრათ ლეოს შესახებ. ის არის ფეხბურთელი, რომელსაც ყველა იცნობს. მესი არაორდინალურ რაღაცებს აკეთებს როგორც მატჩებზე, ასევე სავარჯიშო სესიებზე. მასთან პრაქტიკისას არ მოიწყენ. ეს ძალიან დიდი სიამოვნებაა.

***– ზოგადად, ფეხბურთელი ბარსელონაში ჩემპიონთა ლიგის მოსაგებად გადადის. ესაა შენი მიზანი?***

– რა თქმა უნდა. კლუბი, სადაც ადრე გამოვდიოდი, ჩემს გულში დარჩება, მაგრამ როცა ადამიანს უფრო მეტის მოგების შანსი უჩნდება, ის ყოველთვის მისკენ მიისწრაფვის. შეგვიძლია მოვიგოთ ლა ლიგა, ჩემპიონთა ლიგა და სამეფო თასი.

***– ბარსელონაში განაცხადეს, რომ შენი ტრანსფერი იმპულსური აღმოჩნდა. ის უკანასკნელ წუთებში შედგა. გსმენია ამის შესახებ?***

– დიდი პატივია, როცა ხვდები, რომ ვიღაც შენთვის იბრძვის. ბარსელონას მინდა მადლობა გადავუხადო, რომ ჩემ გასაფორმებლად ძალები არ დაიშურეს.

***– რამ გაგაოცა ყველაზე მეტად კლუბში?***

– ბარსელონას თითოეული ფეხბურთელი საგანძურია. მე ძალიან დადებითი მოლოდინი მქონდა ამ გუნდთან დაკავშირებით. აქ ყოველდღე ცვლილება ხდება. სესიას ემატება ახალი მოთამაშე, ფეხბურთელი აკეთებს რაღაც არარეალურს. მუდამ ვფიქრობდი იმაზე, თუ როგორები იყვნენ ისინი გასახდელსა და მატჩებში. ბარსამ მოლოდინს გადააჭარბა.

# ჩეხი და ბერი გინესის რეკორდების წიგნში შევლენ

პეტერ ჩეხი 2017 წელს გინესის რეკორდების წიგნში შევა, როგორც პრემიერლიგის ისტორიაში ყველაზე მეტი მშრალი სერიის ავტორი. ჩეხ მეკარეს ასეთი 181 (ჩელსიში 162, არსენალში – 19) მატჩი აქვს ჩატარებული.

ინტერვიუში ლეგენდარული გოლკიპერი განვლილი კარიერის საინტერესო და გამორჩეულ მომენტებს იხსენებს:

მაგალითად, აღნიშნავს, რომ მისი ფავორიტი მომენტი 2012 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალში მიუნხენის ბაიერნის წინააღმდეგ არიენ რობენის მიერ შესრულებული თერთმეტმეტრიანის მოგერიებაა.

ჩეხი მის ყოფილ და ამჟამინდელ სპეციალისტებს, შესაბამისად, ჟოზე მოურინიოსა და არსენ ვენგერს ასე ახასიათებს – წაგება არ უყვართ.

ჩეხის პრემიერლიგური კარიერა 2004 წლის ზაფხულიდან დაიწყო, როდესაც რენიდან ჩელსიში გადავიდა. იმდროინდელ პირველ ნომერ კარლო კუდიჩინის ტრავმა ჰქონდა, ჩეხმა კი მანჩესტერ იუნაიტედთან (1:0) პრემიერლიგის სადებიუტო მატჩშივე მშრალად შეინახა კარი და მას შემდეგ პირველ ნომრად იქცა. „არისტოკრატთა“ შემადგენლობაში საკლუბო დონეზე ყველაფრის მოგება შეძლო. 2015 წლის ზაფხულში უკვე არსენალის წევრი გახდა.



ლეგენდარული მეკარე „მეთოფეთა“ რიგებში დებიუტსაც იხსენებს, როცა პირველივე შეხვედრაში „ქომუნითი შილდზე“ სწორედ ჩელსის წინააღმდეგ მოუწია მოედანზე გასვლა:

პეტერ ჩეხი:

– არ ვიცოდი, რა მელოდა, ძალიან ვნერვიულობდი და მხოლოდ მატჩის შემდეგ, როდესაც სახლში დავბრუნდი, ვფიქრობდი – კი, ეს უკვე ფანტასტიკურია.

ჩეხის გარდა, 2017 წელს გინესის რეკორდების წიგნში პრემიერლიგის კიდევ ერთი ლეგენდარული წევრი გარეთ ბერიც შევა, როგორც ყველაზე მეტი შეხვედრის (ასტონ ვილას, მანჩესტერ სიტისა და ევერტონის რიგებში) ჩამტარებელი – 580.

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# ამერიკელმა გოგონამ 132 კილომეტრიანი წყალსატევი გადაცურა



ამერიკის კოლორადოს შტატის მცხოვრებმა გოგონამ შეუჩერებლად გაცურა რეკორდული მანძილი – 132 კილომეტრი. მარათონული გაცურვა 56 საათი გრძელდებოდა.

აღნიშნული მიღწევა სარა ტომასს ეკუთვნის და ის მან პაუელის წყალსატევში დაამყარა, რომელიც იუტასა და არიზონას შტატების საზღვარზე მდებარეობს. ის აშშ-ს სიდიდით მეორე ხელოვნურ წყალსატევად ითვლება.

გაცურვის დროს ტომას ახლოს მიყვებოდა ხომალდი, რომელზეც ცამეტი ადამიანისგან შემდგარი მხარდამჭერი ჯგუფი იმყოფებოდა. გოგონას არ დაუძინია და არც წყლიდან ამოსულა. ყოველ ოცდაათ წუთში დამხმარეები მას აწვდიდნენ ბოთლს, რომელშიც თხევადი საკვები ნარევი იყო მოთავსებული, რომელიც შედგებოდა ნახშირწყლების, ელექტროლიტებისა და კოფეინისგან. სასმელი მოცურავეს ენერგიის შენარჩუნებასა და ძილთან გამკლავებაში ეხმარებოდა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მეორე ნაპირთან მიღწევის შემდეგ ტომასი დაღლილობისგან ფეხზე ძლივს დგებოდა. გადაცურვის შემდეგ მას თითქმის თორმეტი საათი ეძინა, გაღვიძების შემდეგ კი ომლეტითა და კარტოფილის რამდენიმე ბლინით დანაყრდა.

დღეისთვის ყველაზე გრძელი გაცურვის რეკორდი ავსტრალიელ მოცურავეს ჰლოე მაკარდელს ეკუთვნის, რომელიც მან 2014 წელს დაამყარა და ატლანტის ოკეანეში 124 კილომეტრი მანძილის გაცურვას 41 საათი მოანდომა. სარა ტომასის შედეგის ახალ რეკორდად დაფიქსირების გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის.

# ავსტრალიელს მობილური ოპერატორის შეცვლა 170 ათასი დაუჯდება



ავსტრალიის კვისლენდის შტატის მცხოვრებს 170 ათასი ავსტრალიური დოლარის (დაახლოებით 129 ათასი აშშ დოლარი) ანგარიში წარუდგინეს მას შემდეგ, რაც მან გადაწყვიტა, რომ მობილური ოპერატორი შეეცვალა.

თავდაპირველად მარეი კლოდმა ხელი მოაწერა კონტრაქტს სატელეკომუნიკაციო კომპანია ტელსტრასთან, რომელსაც უნდა უზრუნველეყო სახლის ინტერნეტის და მობილური კავშირის ფუნქციონირება. თუმცა მას შემდეგ, რაც მამაკაცმა გაარკვია, რომ ინტერნეტის სიჩქარე, რომელსაც ფირმა უზრუნველყოფდა, მისთვის მეტისმეტად დაბალი იყო, მან გადაწყვიტა პროვაიდერი შეეცვალა.

როდესაც კლოდმა მოისურვა, რომ შეთანხმება სხვა ოპერატორთან გაეფორმებინა ისე, რომ თავისი თავდაპირველი ნომერი შეენარჩუნებინა, მან ტელესტრასგან უარი მიიღო დავალიანების გამო. ავსტრალიელის თქმით, ის თანხას ყოველთვის დროულად იხდიდა. როგორც ფირმის წარმომადგენელმა აღნიშნა, კომპანიამ გამოძიება ჩაატარა, თუმცა ჯერჯერობით მოცემული დავალიანების მიზეზების დადგენა ვერ მოხერხდა.

# 114 წლის ჩინელი 71 წლის მამაკაცს გაჰყვა ცოლად



ჩინეთის სინცზიან-უიგურსის ავტონომიური რაიონის მოხუცებულთა სახლში 114 წლის ქალმა და 71 წლის მამაკაცმა იქორწინეს.

ახლად დაქორწინებულმა ჩჟენმა (მხოლოდ მისი გვარია ცნობილი) აღიარა, რომ თავისი მომავალი მეუღლე ერთი ნახვით შეუყვარდა. პენსიონერის თქმით, რომელიც 50 წლის წინ სერიოზულად დაშავდა სარკინიგზო კატასტროფაში, მისი შეყვარებული ერთ-ერთი პირველი იყო, რომელიც მასზე ზრუნავდა მოხუცებულთა სახლში მისი მისვლის დღიდან.

მამაკაცს წელიწადზე მეტი დასჭირდა იმისთვის, რომ მისი გულისწორი დაქორწინებაზე დაეთანხმებინა. ქალი დიდხანს ყოყმანობდა სანამ საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებდა და რაზეც მისი ასაკიდან გამომდინარე აღარც კი ოცნებობდა.

საქორწინო ცერემონიას მოხუცებულთა სახლის ათეულობით ბინადარი და დაწესებულების თანამშრომელი ესწრებოდა.

# ბელგიელმა ფერმერმა გიგანტური გოგრა გამოზარდა

ბელგიელი მებაღე მათიას ვილემანსი გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა მას შემდეგ, რაც



მსოფლიოში ყველაზე დიდი გოგრა გამოზარდა. მისი წონა 1190 კილოგრამს აღემატება. ვიდეორგოლი, რომელზეც გოგრის აწონვაა დაფიქსირებული, ერთ-ერთმა ვიდეოსააგენტომ გამოაქვეყნა.

რეკორდი გოგრების ევროპის ჩემპიონატზე დაფიქსირდა, რომელიც გერმანიის ქალაქ ლიუდვიგსბურგში გაიმართა.

# შოტლანდიის პოლიციამ ქათამი დააკავა

შოტლანდიის ქალაქ დანდის პოლიციამ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის ქათამი დააკავა.

სამართალდამცავებს მძღოლებმა მიმართეს, რომლებმაც დილით ადრე შინაური ფრინველი გზის სავალ ნაწილზე შენიშნეს. შემთხვევის ადგილზე დაუყოვნებ-



ლივ გავიდა ბრიგადა და წესების დამრღვევის ძებნას შეუდგა. გარკვეული დროის შემდეგ ქათამი იპოვეს.

ფრინველი პოლიციის განყოფილებაში მიიყვანეს, შემდეგ კი ცხოველებთან სასტიკი მოპყრობის წინააღმდეგ მებრძოლი სამეფო საზოგადოების წარმომადგენლებს გადასცეს. დეპარტამენტის თანამშრომლებს იმედი აქვთ, რომ მის პატრონს იპოვნიან და გაარკვევენ, თუ რა მიზნით გადადიოდა ქათამი გზაზე.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სპორტი

# გვარდიოლას არგენტინის ნაკრების გაწვრთნა სურდა



მანჩესტერ სიტის ერთ-ერთმა ლიდერმა სერხიო აგუერომ თავის მწვრთნელ ხოსეპ გვარდიოლაზე ისაუბრა და თქვა, რომ გვარდიოლას არგენტინის ნაკრების გაწვრთნა სურდა.

– მე და ხოსეპი ვსაუბრობდით და არგენტინის ნაკრები ვახსენე. გვარდიოლამ მითხრა, რომ სიამოვნებით გაწვრთნიდა არგენტინის ეროვნულ გუნდს, მაგრამ მას მსგავსი შემოთავაზება არ ჰქონია, – განაცხადა აგუერომ.

გვარდიოლა ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მწვრთნელია და წინა გუნდებთან ერთად მან უამრავი ტიტული მოიგო. მანჩესტერ სიტიში გვარდიოლამ ძალიან კარგად დაიწყო, თუმცა გრძელი სეზონი წინ არის.

# იუვენტუსი სანტი კასორლას ყიდვას შეეცდება



ტურინის იუვენტუსის ახალი სამიზნე არსენალის ესპანელი ნახევარმცველი სანტი კასორლაა, რომელშიც იუვე მზად არის, 25 მილიონი ევრო გადაიხადოს.

ჯერჯერობით უცნობია, დათანხმდება თუ არა არსენალი ამ თანხას, თუმცა თვითონ კასორლა სხვა გუნდში გადასვლას არ გამორიცხავს.

კასორლა 2013 წლიდან არსენალის ფეხბურთელია და ამ ხნის განმავლობაში ხშირად იყო ლონდონურ კლუბში წამყვან როლებზე, მაგრამ ბოლო პერიოდში ის არცთუ ხშირად ხვდება ძირითად შემადგენლობაში.

არსენალამდე კასორლა ვილიარეალის ღირსებას იცავდა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

# ოქროს ფეხი ჯიჯი ბუფონს ერგო



ლეგენდარულმა ჯანლუიჯი ბუფონმა მორიგი აღიარება მოიპოვა – იტალიის ნაკრებისა და ტურინის იუვენტუსის ფეხბურთელმა 2016 წლის ოქროს ფეხის ტიტული დაისაკუთრა.

გამოკითხვაში 38 წლის გოლკიპერმა ლეო მესისა და კრიშტიანუ რონალდუს აჯობა და გახდა პირველი მეკარე, რომელმაც ეს პრიზი მოიგო.

გასულ სეზონში ბუფონმა იუვესთან ერთად ჩემპიონატი და თასი მოიგო, იტალიის ნაკრებთან ერთად კი ევრო-2016-ზე მეოთხედფინალამდე მივიდა, სადაც გერმანიასთან პენალტების სერიაში დამარცხდა.

ამ ჯილდოს გადასცემენ 28 წელს ზემოთ მყოფ წარმატებულ ფეხბურთელებს. გასულ სეზონში პრიზი წილად სამუელ ეტოოს ხვდა, ხოლო პირველი გამარჯვებული კი 2003 წელს რობერტო ბაჯო გახლდათ.

გარდა ამისა, „ოქროს ფეხი" მოუგიათ ისეთ ფეხბურთელებს, როგორებიც პაველ ნედვედი, ანდრეი შევჩენკო, რონალდო, ალესანდრო დელ პიერო, რობერტო კარლოსი, რონალდინიო, ფრანჩესკო ტოტი, რაიან გიგზი, ზლატან იბრაჰიმოვიჩი, დიდიე დროგბა და ანდრეს ინიესტა არიან.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# ასტროპროგნოზი

## 13 ოქტომბრისათვის



**ვერძი** – საზრიანობა და მოვლენების საღად აღქმის უნარი ნებისმიერი რთული სიტუაციიდან თავის დაღწევაში გეხმარებათ. ბიზნესპარტნიორებს არ ენდოთ. **კურო** – კომფორტულად თავს მხოლოდ ბავშვებთან ურთიერთობისას იგრძნობთ. ფულს შოულობთ. **ტყუპები** – თქვენი ჯანმრთელობისათვის დღეს საჭიროა დასვენება მყუდრო გარემოში. ემოციური განახლებისა და გამოცდის დროა. **კირჩხიბი** – სახიფათო და მძიმე დღეა. მოსალოდნელია კონფლიქტი კოლეგებთან და უფროსობასთან. ფინანსებს გაუფრთხილდით. **ლომი** – იაქტიურეთ და შედეგს სულ მალე მიიღებთ. შორსმჭვრეტელობა დღეს უთუოდ წაგადგებათ. **ქალწული** – გარკვეულ შემთხვევებში სიმტკიცისა და პრინციპულობის გამოჩენა გმართებთ. ოჯახში სრული იდილია სუფევს. **სასწორი** – ეცადეთ, შეძლებისდაგვარად დაეხმაროთ მათ, ვისაც ეს სჭირდება. დაწყებულ საქმეს შუა გზაზე ნუ მიატოვებთ. **ღრიანკალი** – თქვენს ზრუნვას განსაკუთრებით მოხუცები და ბავშვები საჭიროებენ. მოთმინება დღეს თქვენი მთავარი იარაღია. **მშვილდოსანი** – მოგზაურობა, მივლინებაში წასვლა სხვა დროისათვის გადადეთ. შეეცადეთ, ოჯახის წევრებთან ჰარმონიული ურთიერთობა შეინარჩუნოთ. **თხის რქა** – ახალი გეგმების განხორციელება თქვენგან აქტიურობასა და სიბეჯითეს მოითხოვს. ეცადეთ, მავნე ჩვევებისგან გათავისუფლდეთ. **მერწყული** – ძალზე პერსპექტიული დღეა. გაგიმართლებთ როგორც პირად ცხოვრებაში, ისე საზოგადოებრივ საქმიანობაში. ცოდნის მისაღებად მშვენიერი შანსი გეძლევათ. **თხის რქა** – მთლიანობაში კეთილისმყოფელი დღეა, თუმცა პერიოდულად შესაძლოა ვითარება დაიძაბოს. მოვლენებს ნუ დააჩქარებთ. გარშემომყოფებისადმი მოთმინება და ტაქტი გამოიჩინეთ. **თევზები** – ძალზე პერსპექტიული დღეა. გაგიმართლებთ როგორც პირად ცხოვრებაში, ისე საზოგადოებრივ საქმიანობაში. ცოდნის მისაღებად მშვენიერი შანსი გეძლევათ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ქართული ხალხური შრომის სიმღერა; 2. აღმოსავლურ საკრავებზე დამკვრელთა პატარა ანსამბლი; 3. ფრანგული კოსმოსური ხომალდების სერია; 4. ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული მონღოლეთში; 6. უნგრული წვნიანი კერძი; 9. ლირიკული სიუჟეტის ზანგური სასიმღერო და საცეკვაო მუსიკა; 11. ჩინელი ფილოსოფოსი; 12. დედამიწის ქერქი, მტკიცე გარსი; 16. ფოტოაპარატების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 19. კათოლიკურ დედათა მონასტრის წინამძღვარი; 21. გამოგონების დამადასტურებელი მოწმობა; 22. ტკბილი კარტოფილი.

**თარაზულად:** 5. ქალაქ თბილისის მერი; 7. ძალიან იშვიათი ნივთი; 8. სამეგრელოსა და აფხაზეთში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 10. სარეკლამო ლოზუნგი; 12. ცეცხლსასროლი იარაღის მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 13. ფინეთის ისტორიული სახელწოდება; 14. სპარსელ დამპყრობთა სახელწოდება საქართველოში; 18. სახელდახელოდ თქმული ლექსი; 20. მაღალმთიანი კურორტი აჭარაში; 23. შარლ გუნოს ოპერა; 24. მსუბუქი, ფოროვანი სამშენებლო მინერალი; 25. „ბითლზი"-ს ერთ-ერთი წევრი; 26. სამკითხაო ბანქო; 27. ქალაქი აშშ-ში, სადაც განთავსებულია „კოკა-კოლა"-ს სათაო ოფისი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. მარტელი; 2. დეფიციტი; 3. იამოტო; 4. კილტი; 5. მეჭიაური; 8. მონიუშკო; 12. მუხა; 13. სინაგოგა; 14. „ოკენცე"; 16. მელიავა; 18. „მარკა"; 20. ტახო.

**თარაზულად**: 6. ჯაფარიძე; 7. ახალციხე; 8. მწყერი; 9. ზესხო; 10. დიაგნოზი; 11. პლომბირი; 15. პინაკოთეკა; 17. საირმე; 19. ცურტაველი; 22. ჩატურანგა; 23. „ჰოოპუნა".

### კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. ობლიგო; 2. „ლაკმე"; 3. გრივნა; 4. ტოლედო; 6. პოდიუმი; 9. „დელტა"; 11. გერგეტი; 15. ხორნაბუჯი; 16. სატივე; 17. მისისიპი; 19. ამანათი; 21. მაქმანი; 22. გრინგო.

**თარაზულად**: 5. აბაკელია; 7. ორაგული; 8. ალპები; 10. მესხეთი; 12. დურდო; 13. ელესა; 14. კატეხიზმო; 18. გაგრა; 20. ფელინი; 23. არლანი; 24. ქუჯი; 25. დავოსი; 26. გაჯი; 27. ანალიზი.

# „გორდელა“ იერუსალიმის ფესტივალზე იმღერებს



„თსუ გორდელა“ იერუსალიმში, ეინ კერემში გამართულ ფესტივალზე იმღერებს.

ინფორმაციას „თსუ გორდელას“ ერთ-ერთი წევრი ქეთი კვირკელია სოციალურ ქსელში ავრცელებს:

– იერუსალიმში, ქალაქ იენ კერემში ტარდება დიდი ფესტივალი, რომელიც უკვე ათ წელიწადს ითვლის. „თსუ გორდელა“ ერთადერთი ანსამბლია წელს საქართველოდან, რომელიც 20 ოქტომბერს ღია ცის ქვეშ, ცენტრალურ მოედანზე, საათნახევრიანი პროგრამით წარდგება აუდიტორიის წინაშე. განსაკუთრებით ემიგრანტებს მინდა ვთხოვო, ერთმანეთს მიაწოდოთ ინფორმაცია და გვეწვიოთ. კონცერტზე დასწრება თავისუფალია.

# სალომე ბენაშვილი გათხოვდა



ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტი სალომე ბენაშვილი გათხოვდა. მისი რჩეული „ფორმულა კრეატივის“ ოპერატორი“ გიორგი ტყებუჩავაა. გიორგი მსახიობ ანი ტყებუჩავას ძმაა, რომელიც სერიალში „ჩემი ცოლის დაქალები“ ნინას როლს ასრულებს.

ქორწილს წინ წყვილის ნიშნობა უძღოდა. გაბედნიერება კი სალომემ და გიორგიმ უახლოესი მეგობრების წრეში აღნიშნეს და ქორწილის ამსახველი ფოტოები ინტერნეტში გაავრცელეს.

მიუხედავად იმისა, რომ სალომე ჟურნალისტია და თავადაც სიახლეების მიმართ დიდი ინტერესით გამოირჩევა, მან საკუთარ ცხოვრებაზე საჯაროდ საუბარი არ ისურვა. როგორც ჟურნალისტებს სალომე ბენაშვილმა განუცხადა, ცხოვრების ამ ეტაპზე მას და მის საყვარელ ადამიანს არ მიაჩნიათ, რომ მათი პირადი ცხოვრება ვინმეს უნდა აინტერესებდეს.

სალომემ და გიორგიმ სოციალურ ქსელში უამრავი მილოცვა და საუკეთესო სურვილები მიიღეს.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# სამგლოვიარო განცხადებები



შვილი ვლადიმერი (ვოვა), რძალი გალინა ქურდაძეები, ქალიშვილი ლარისა, სიძე თენგიზ გაჩეჩილაძეები, შვილიშვილები მაია, თამარი, ქეთევანი, ნინო ქურდაძეები, გიორგი (გიგი), რატი გაჩეჩილაძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ეკატერინე გაბრიელის ასული ქურდაძე**

პანაშვიდი: 14, 15 ოქტომბერს.
დაკრძალვა: კვირას, 16 ოქტომბერს.
მისამართი: თბილისი, ილორის ქუჩა №18 (კონიაკის დასახლება).

აფხაზეთის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ამავე დეპარტამენტის თანამშრომლის რევაზ გუჯეჯიანის საყვარელი მეუღლის

**ციური ბაკურაძე-გუჯეჯიანის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ბორის აკუნინი თბილისში ჩამოდის



მწერალი გრიგოლ ჩხარტიშვილი, იგივე ბორის აკუნინი თბილისში ჩამოვა და ქართველ მკითხველს შეხვდება.

18 ოქტომბერს ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის მოწვევითა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზებით, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართება მწერლის შეხვედრა მკითხველთან.

ბორის აკუნინი დღეისათვის ყველაზე პოპულარული ქართული წარმოშობის რუსი მწერალი და, ამასთანავე, ლიტერატურათმცოდნე, იაპონისტი, მთარგმნელი და საზოგადო მოღვაწეა. გრიგოლ ჩხარტიშვილი ბორის აკუნინის ფსევდონიმითაა ცნობილი და ის ზესტაფონში დაიბადა. მისი ოჯახი მალევე გადავიდა საცხოვრებლად მოსკოვში, სადაც მწერალი გაიზარდა. სწავლობდა რუსეთში, ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე, აქვს ისტორიკოს-იაპონიისმცოდნის დიპლომი. არის მხატვრული ლიტერატურის მთარგმნელი ინგლისური და იაპონური ენებიდან. გამოქვეყნებული აქვს როგორც ესეისტიკა, ისე ისტორიული ჟანრის ნაწარმოებები.

პირველი მხატვრული ნაწარმოები ბორის აკუნინის სახელით 90-იანი წლების ბოლოს გამოაქვეყნა. განსაკუთრებული პოპულარობა მწერალს მოუტანა ისტორიულ-დეტექტიური რომანების სერიამ ერასტ ფანდორინზე. მისი რომანები თარგმნილია მრავალ ენაზე და მრავალჯერაა ეკრანიზებული.

ორი წელია გრიგოლ ჩხარტიშვილი ემიგრანტია და ცხოვრობს საფრანგეთში.

მწერალთან შეხვედრა ილიაუნიში კითხვა-პასუხის რეჟიმში გაიმართება. შეხვედრის მოდერატორია მაია ჯაგი, ლონდონში მოღვაწე ლიტერატურის კრიტიკოსი და კულტურის ჟურნალისტი.

ბორის აკუნინთან შეხვედრაზე დასწრება ნებისმიერი მსურველისთვის თავისუფალია. შეხვედრის დასასრულს მწერალს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭება.

# ლიზა ყენია საქართველოდან მიდის



მომღერალმა ლიზა ყენიამ საქართველოს დატოვების გადაწყვეტილება მიიღო. მაია ჯაბუას შვილის ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყო. მან სკოლა დაამთავრა და საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა, მაგრამ ეს ლიზასთვის საკმარისი არ არის. მან საქართველოს დატოვების გადაწყვეტილება მიიღო და არჩევანი ამერიკაზე შეაჩერა.

**ლიზა ყენია:**

– საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში ბიზნესის მართვის და ტურიზმის ფაკულტეტზე ჩავაბარე. სწავლა რამდენიმე დღის წინ დაიწყო და ძალიან მომწონს სტუდენტობა. უნივერსიტეტში სიარული ისე მიხარია, მგონია, რომ მარტო მე ვარ სტუდენტობით ბედნიერი. სულ გახარებული დავდივარ ლექციებზე.

ჯერ კიდევ შარშან მქონდა დაგეგმილი, ამერიკაში გამგზავრება, მაგრამ სწავლის გამო, რაღაც გეგმები შევცვალე. აუცილებლად მომიწევს საქართველოს დატოვება და კარიერის საზღვარგარეთ გაგრძელება, თუმცა სად, ამას ჯერჯერობით საიდუმლოდ დავტოვებ.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*



# მადრიდი ორი სტადიონის მოლოდინშია



მადრიდი 2 ახალი სტადიონის მოლოდინში. ორივე ესპანური გრანდი აპირებს ახალ მოედანზე ითამაშოს. რეალი „სანტიაგო ბერნაბეუს“ რეკონსტრუქციას აპირებს, ხოლო ატლეტიკო სულაც ახალი სტადიონის აშენებას გეგმავს.

რეალის პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა „სანტიაგო ბერნაბეუს“ რეკონსტრუქციის საბოლოო გეგმა წარადგინა.

როგორც იქნა, „სამეფო კლუბი“ და ქალაქის საბჭო შეთანხმდნენ, რომ „სანტიაგო ბერნაბეუც“ იმსახურებს 21-ე საუკუნისთვის შესაფერის იერსახეს.

რეკონსტრუქცია 400 მილიონი ევრო დაჯდება. სპონსორები უკვე ნაშოვნია, მაგრამ ეგ არის, რომ პერესმა ვერ დაადასტურა, რომ სტადიონი ჩვეულ დასახელებას შეინარჩუნებს. დიდი ალბათობით, სპონსორების ინტერესებიც გათვალისწინებული იქნება.

ატლეტიკოს ხელმძღვანელობამ, როგორც იქნა, გადაწყვიტა, რა დაერქმევა ახალ სტადიონს – დროებით ახალი არენა „ესტადიო დელ კლუბ ატლეტიკო დელ მადრიდი“ იქნება.

ბუნებრივია, კლუბი ელოდება სპონსორულ შემოთავაზებას და ამის მერე სტადიონს სულ სხვა სახელი დაერქმევა. შეგახსენებთ, რომ ამ სეზონის დასრულების შემდეგ „ვისენტე კალდერონს“, რომელიც 50 წელი ემსახურა კლუბს, დაანგრევენ.

# იკარდიმ მარადონას მოედნის მიღმა ცხოვრება გაახსენა



როდესაც მაურო იკარდი ინტერში გადავიდა სათამაშოდ, მაშინ მისი მეგობარი მაქსი ლოპესი მეორე მილანური კლუბის, მილანის ღირსებას იცავდა. ლოპესმა ახალგაზრდა თანამემამულეს ადაპტაციის გავლამდე, გარკვეული პერიოდით, თავის სახლში ცხოვრება შესთავაზა. სწორედ იქ დაიწყო რომანი იკარდისა და ლოპესის ცოლს, ვანდა ნარას შორის, რომელიც ოჯახის შექმნით დასრულდა, ვანდა კი დღეს 23 წლის ფორვარდის პირადი აგენტიცაა.

ამ ფაქტს გამოეხმაურა უდიდესი არგენტინელი ფეხბურთელი დიეგო არმანდო მარადონა, რომელმაც განაცხადა, რომ არაფერი აქვს სალაპარაკო მოღალატეებზე, მაურო იკარდი კი სწორედ ასეთია.

**დიეგო მარადონა:**

– მე არ გავკიცხავ ფეხბურთელს იმის გამო, რომ კლუბი შეიცვალა, რადგან ეს მისი არჩევანი იყო, მაგრამ უღალატო მეგობარს... ამას ვერასდროს გავიგებ. იკარდი ნაკრებში გამოიძახეს და თუ ქვეყნის სახელით გოლებს გაიტანს, მხოლოდ გამიხარდება, მაგრამ პირადად მისი გულშემატკივარი არასდროს ვიქნები. იკარდი მოღალატეა და ამით ყველაფერია ნათქვამი.

მარადონას განცხადებას თავად იკარდიც გამოეხმაურა და ვრცელი კომენტარი გააკეთა.

**მაურო იკარდი:**

– როდესაც მარადონას ხავიერ ძანეტის მიერ ორგანიზებულ საქველმოქმედო მატჩზე შევხვდი, არც კი მომსალმებია, შემდეგ კი განაცხადა, რომ მე მოღალატე ვარ. არ ვიცი, რა დავუშავე პირადად მას, მაგრამ ფაქტია, რომ ამითვალწუნა. მარადონა უდიდესი ფეხბურთელი იყო, მაგრამ მოედანს მიღმა არასდროს ყოფილა სამაგალითო. თვითონ დიეგოს არ უცხოვრია ისე, რომ სხვებს ჭკუა დაარიგოს და მათ მოღალატე უწოდოს. ჯერ თვითონ უნდა იყო სამაგალითო, რომ სხვების განკითხვის უფლება გქონდეს. მე ჩემი ცხოვრება მაქვს – ვთამაშობ ფეხბურთს და მყავს მოსიყვარულე ოჯახი, ჩემი მეუღლისთვის კი არასდროს არაფერი დამიძალებია; არჩევანი თავად გააკეთა. ეს ჩემი ბოლო კომენტარია ამ თემაზე, რადგან სალაპარაკოც არაფერია.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## პროგრამა

**ხუთშაბათი 13 ოქტომბერი**

**06.00, 14.00** ტ/სერ. "**ფრანკლინი და ბეში**" **07.00** დოკ/სერ. "დროისა და სივრცის მიღმა" **08.00** ან/ფ "მადაგასკარის პინგვინები" **08.40** "ტელემანი" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 12.00, 16.00, 18.00** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ცბიერი მოახლეები**" **12.20** მხ/ფ "**ბერძენი მაგნატი**" **15.00, 03.00** "x სტუდია" **16.30** "ეკონომეტრი" **17.00** დოკ/სერ. "დროისა და სივრცის მიღმა" **21.00** ტ/სერ. "**შურისძიება**" **22.00** "ინტერვიუ სალომე ასათიანთან" **22.45** "ვექტორი" **23.15** მხ/ფ "**დიდი ვალდო პეპერი**" **01.10** მხ/ფ "**ფსკერზე**"

**08.00** დ/ფ "როგორ არის მოწყობილი სამყარო" **09.00** დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" **10.00** "გეოფაქტორი" **10.15** მხ/ფ "**ოსკარი და ვარდისფერი ქალბატონი**" **12.00** ტ/სერ. "**ცოდვა და სირცხვილი**" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.00** დ/ფ "ალექსანდრე დიდი მაკედონელი" **15.00, 17.00, 19.00** "ბრიფინგის დრო" **16.00** დ/ფ "სუფრაჟისტები" **18.00** დ/ფ "როგორ არის მოწყობილი სამყარო" **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **22.00, 01.00** ტ/სერ. "**ბორგო ლარიჩის საიდუმლოებანი**" **23.00** "მოამბე" (3 ენაზე) **00.30** "ნამდვილი დრო"

**06.30, 16.00** სერ. "**თანხმობა**" **07.30, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ერთი სიყვარულის ამბავი**" **11.20** სერ. "**სიყვარულის ჟამი**" **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. "**ფიცი**" **17.35** სერ. "**პატარძალი**" **18.50, 19.03** სერ. "**ღირსების სახელით**" 4 სერ. **20.55** სერ. "**შავი ვარდი**" **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **00.00** მხ/ფ "**ვახშამი სულელებთან**" **02.15** მხ/ფ "**გაქცეული პატარძალი**"

**06.00** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **06.45** სერ. "**გაბრიელა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**დედოფლის სევდა**" **15.55** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**ცხოვრების გზები**" **18.50** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **19.55, 20.05** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **22.00** სერ. "**ხელოვნური სუნთქვა**" 8 **23.00** პროფილი **01.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი

**8.00** ან/ფ "**ვარსკვლავური ომები**" **9.00, 19.30** სერ. "**მენტალისტი**" **10.00, 18.30** სერ. "**სკანდალი**" **11.00** სერ. "**გრეის ანატომია**" **13.00, 1.35** სერ. "**კრიმინალური აზროვნება**" **15.00** გვიანი შუადღე **17.00** ცოლები და ქმრები **17.30** სერ. "**ახალი გოგო**" **18.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.30 20.30 22.30** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" **23.30** მხ/ფ "**თაღლითები**"

**06.15** სჯანი-"ისლამის დამოკიდებულება ქრისტიანებისადმი" **06.40** პატერიკი-სათნოება,რომის გამოც არ იკლებდა მონასტრის სარჩო-საბადებელი **06.45** დ/ფ "კვართიდან ქართველთა გოლგოთამდე" 1 ნაწ. **07.25** ქართული ალბომი **07.50** დ/ფ "საპოვნელა" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** სიბრძნისმეტყველება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.40** ერთსულოვნების სალონი **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ "**განგაში**" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.00** დეკორატიული ფლორა "პიონი-იორდასალამი" **15.05** ღვთის სახლი **15.20** ქართული ანიმაციური ფილმი **15.30** წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან **17.05** კონცერტი **17.35** ჩვენი ფონდი **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** პორტრეტები **20.20** დ/ფ "სვეტიცხოველი" **20.40** ძილი ნებისა "ბატი ტასიკო" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** ლექციები მეფუტკრეობაზე **21.45** ამბიონ-დიდი ცისკარი **22.20** ჩვენი საგანძური **22.40** ქრისტიანული სწავლება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.40** დ/ფ "წმინდა დავითი და კონსტანტინე" **00.25** ისტორიის დღიური **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 0.30, 2.30** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **8.00** სერ. "**ტატიანა**" **10.00** "კონტაქტი" **10.05, 19.05** სერ. "**ცენტრალური საავადმყოფო**" **11.05, 13.00** სერ. "**ვერონიკა**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **14.05, 1.00** სერ. "**ორი გული**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **16.05, 17.05** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.35, 2.00** სერ. "**თურქული ენა დამწყებთათვის**" **19.50** "დამზადებულია საქართველოში" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.55** სერ. "**გემი**" **21.40** "ღამის კონტაქტი" **23.10** სერ. "**ესკობარი**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

13 ოქტომბრისთვის

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.3365 |
| ევრო | 2.5900 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2.8655 |
| 100 რუსული რუბლი | 3.7418 |

## ამინდის პროგნოზი 13 ოქტომბრისთვის








## 12 ოქტომბრიდან

# კახეთი

## გზამკვლევი

**ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი**


## იუმორი



მალაზიაში მსუქანი ქალი კითხულობს:

– თუ გაქვთ ასეთივე კაბა, ოღონდ საჩემო?

– არა.

– მაშინ სხვა რაიმე, ჩემი ზომის?

– ქოლგა.

•••

თვითმფრინავში გვერდიგვერდ მგზავრობენ ახალგაზრდა გოგონა და პადრე. თვითმფრინავი უკვე დასაშვებად ემზადება და გოგონა ღვთისმსახურს მიმართავს:

– პადრე! ჩემთვის უხერხულია, მაგრამ რაღაც მინდა გთხოვოთ, შეგიძლიათ, დამეხმაროთ?

– მითხარით.

– საქმე ის არის, რომ ჩემთვის ახალი, საკმაოდ ძვირადღირებული სუნამო ვიყიდე, ქალებისთვის – რომელსაც დეკლარაცია სჭირდება, მაგრამ ფული აღარ დამრჩა! ხომ ვერ დამეხმარებოდით და თქვენი ანაფორის ქვეშ ხომ ვერ დამალავდით? მებაჟეები ვერაფერს შენიშნავენ!

– შვილო ჩემო! სიცრუე ცოდვაა! მაგრამ ჩემს მოვალეობას წარმოადგენს, დავეხმარო ადამიანებს. შევეცდები, რაიმე მოვიფიქრო.

თვითმფრინავი დაეშვა. მგზავრები საბაჟო შემოწმებას გადიან. მებაჟე ღვთისმსახურს ეკითხება:

– მამაო, ანაფორის ქვეშ რაიმე ხომ არ გაქვთ ისეთი, რაც დეკლარირებას ექვემდებარება?

– წელს ზევით არაფერი, შვილო ჩემო.

– და წელს ქვევით?

– წელს ქვევით მაქვს ხელსაწყო ქალებისთვის, რომლითაც ჯერ არავის უსარგებლია.

– გასაგებია, შეგიძლიათ, მიბრძანდეთ.

•••

შვილი დედას ეკითხება:

– დედა, ანგელოზებს ფრენა შეუძლიათ?

– შეუძლიათ და რატომ მეკითხები?

– გუშინ მამამ ჩვენს მოსამსახურეს დაუძახა: „ჩემთან მოფრინდი, ანგელოზო“...

– ხვალ დილით გაფრინდება!!!

•••

მუშაობის დაწყების მსურველს გასაუბრებაზე დაწესებულების ხელმძღვანელი ეუბნება:

– დაივიწყეთ ყველაფერი, რასაც უნივერსიტეტში გასწავლიდნენ! აქ არ გამოგადგებათ.

– უნივერსიტეტში არ მისწავლია.

– მაშინ არ გამოგვადგებით. ჩვენ მხოლოდ უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტები გვჭირდება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.



## 11 ოქტომბრიდან

# ელისი საოცრებათა ქვეყანაში

## ფერადი ილუსტრირებული გამოცემა მაგარი ყდით

ინგლისელი მათემატიკოსისა და მწერლის ლუის კეროლის ზღაპარი „ელისი საოცრებათა ქვეყანაში“ პირველად 1865 წელს გამოიცა და დღემდე უდიდესი პოპულარობით სარგებლობს.

ერიკ კინკეიდის შესანიშნავი ილუსტრაციებით გაფორმებული ეს ზღაპარი დაუვიწყარ მოგზაურობას გპირდებათ საოცრებათა ქვეყანაში.




**ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი**

## 13 ოქტომბრიდან

# ჩემი პირველი სიტყვები ცხოველები

გასართობ-შემეცნებითი ფერადი წიგნი პატარებისთვის.

წიგნში 100-ზე მეტი სიტყვაა მოცემული. თამაშის საშუალებითა და ფერების შერჩევით პატარებისთვის ნაცნობი ნივთების ამოცნობა და დასახელება ძალიან ადვილი და სახალისოა.

**ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი**





## ტონი კროოსმა რეალთან კონტრაქტი გაახანგრძლივა



გერმანელმა ნახევარმცველმა ტონი კროოსმა მადრიდის რეალთან კონტრაქტი 2022 წლამდე გაახანგრძლივა.

კროოსი რეალში ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი იქნება. კროოსი რეალში 2014 წელს გადავიდა და მას შემდეგ გუნდის ერთ-ერთი საკვანძო ფეხბურთელი გახდა. ტონიმ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ სამშობლოში დაბრუნებას არ გამორიცხავს, თუმცა, როგორც ჩანს, ამას კროოსი კარიერის ბოლოს გააკეთებს.

წლევანდელ სეზონში კროოსმა ტრავმის გამო რამდენიმე თამაში გამოტოვა, თუმცა ამჟამად ის მწყობრშია და მზად არის, თავის გუნდს დაეხმაროს.

## ლიონელ მესიმ ვარჯიში განაახლა

ბარსელონას ლიდერმა ლიონელ მესიმ თავის გუნდთან ერთად სრული დატვირთვით ივარჯიშა, რაც იმას ნიშნავს, რომ ის უკვე მზად არის მოედანზე გამოსასვლელად. შაბათს ბარსელონა საკუთარ მოედანზე დეპორტივოს მიიღებს და, შესაძლოა, მესი ამ შეხვედრაში მოედანზე ვიხილოთ, თუმცა, როგორც ესპანეთში ვარაუდობენ, ლეო სავარაუდოდ მანჩესტერ სიტის წინააღმდეგ დაბრუნდება.



მესიმ ტრავმა 21 სექტემბერს მიიღო და მას შემდეგ მოედანზე არ გამოჩენილა. ტრავმის გამო მესიმ არა მარტო ბარსელონას, არამედ ეროვნული ნაკრების თამაშებიც გამოტოვა. აღსანიშნავია, რომ მესის გარეშე ბოლო შეხვედრები ბარსელონამაც და არგენტინის ნაკრებმაც წააგეს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## პაოლო მალდინიმ მილანში დაბრუნება გადაიფიქრა

მილანის ლეგენდარული ფეხბურთელი პაოლო მალდინი თავის მშობლიურ გუნდში დაბრუნებას არ აპირებს.



მალდინის სპორტული დირექტორის თანამდებობას სთავაზობდნენ, მაგრამ მან ბოლო მომენტში გადაიფიქრა. პაოლოს თქმით, ის შეხვდა მილანის ხელმძღვანელობას და მისგან ვერ მიიღო სრულყოფილი გეგმა, რომელიც მილანის განვითარებისთვის იქნებოდა განკუთვნილი. ეს არის მთავარი მიზეზი, რის გამოც მალდინიმ მილანში მუშაობაზე უარი განაცხადა.

მიუხედავად ამისა, პაოლო იმედოვნებს, რომ მის მშობლიურ გუნდში მდგომარეობა შეიცვლება და ამ შემთხვევაში ის მილანში დაბრუნებაზე უარს აღარ იტყვის.


## 18 ოქტომბრიდან

# ოლივერ ტვისტი

## ფერადი ილუსტრირებული გამოცემა მაგარი ყდით




ჩარლზ დიკენსის კლასიკური ნაწარმოები „ოლივერ ტვისტი“ პირველად 1838 წელს გამოიცა და მას შემდეგ უამრავ მკითხველს შეაყვარა თავი.

ღარიბ-ღატაკთა თავშესაფარში დაბადებული ობოლი ბიჭუნას ამაღელვებელი თავგადასავალი ყველას ერთნაირად აუჩუყებს გულს.

წიგნი ერიკ კინკეიდის ილუსტრაციებითაა გაფორმებული.

**ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი**


## ოლიმპიური ჩემპიონი პლეიბოის მოდელზე დაინიშნა



რიო-დე-ჟანეიროს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, ამერიკელი მოცურავე რაიან ლოჰტე პლეიბოის მოდელზე დაინიშნა. მომავალ მეუღლესთან ერთად გადაღებული ფოტოსურათი მან ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე განათავსა.

„სამუდამოდ სამახსოვროდ“, – მიაწერა სელფის სპორტსმენმა, რომელიც შეჯიბრებებს გარკვეული ვადით ჩამოაშორეს იმ სკანდალური ისტორიის გამო, რომელიც ბრაზილიაში გადახდა, როდესაც ძარცვის ისტორია „გააბუქა“. მან ასევე ისიც აღნიშნა, რომ მოდელი ამიერიდან მის გვარს ატარებს.

სურათზე ჩანს, რომ მოდელ კაილა რეი რიდს ბრილიანტისთვლიანი ნიშნობის ბეჭედი უკეთია. სურათი, რომელიც ამერიკის კალიფორნიის შტატშია გადაღებული, საკუთარ გვერდზე მოდელმაც განათავსა.

– სიტყვები არ მყოფნის. ეს შესანიშნავია. მე შენ ძალიან მიყვარხარ, – დაწერა რიდმა ფოტოსურათის კომენტარში.

წყვილი ერთმანეთს ცხრა თვის მანძილზე ხვდებოდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. მდინარე ნიუ იორკში; 2. ჩინური ნავთობკომპანია; 3. თანამედროვე ქართველი თეატრალური რეჟისორი; 4. ჩეხეთის ფეხბურთელთა გუნდი; 5. წრეხაზის ცენტრზე გამავალი, ორი წერტილის შემაერთებელი სწორი ხაზის მონაკვეთი; 8. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 12. ქართველ ფეხბურთელ ავთანდილ ღოღობერიძის მეტსახელი; 13. მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი ბრიტანელი ბილიარდისტი; 14. პოლიტიკური პარტია ისრაელში; 16. გულადი, ყოჩაღი მამაკაცის ძველებური სახელწოდება; 18. ბრიტანეთში მოღვაწე ქართველი ესტრადის მომღერალი ქალი; 20. იაპონური ბრინჯის არაყი.

**თარაზულად:** 6. მოკარნახე თეატრში; 7. მოხალული სიმინდი; 8. სინათლის ნაწილაკი, კვანტი; 9. აქლემის ბეწვისგან მოქსოვილი ხალიჩა; 10. მოღალატე ადამიანი; 11. „ფორმულა-1“-ში მონაწილე გერმანელი ავტომრბოლელი; 15. შტატი აშშ-ში; 17. სომხური ცეკვა; 19. სოხუმის ძველბერძნული სახელწოდება; 21. ძველებური ქართული ვერცხლის ფული; 22. ძველებური, ცხენებშებმული, მრავალადგილიანი სამგზავრო, საფოსტო კარეტა; 23. სამხედრო გემთმშენებლობის ცენტრი საფრანგეთში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

